ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 ოქტომბერი **შაბათი** 2012 **№243 (13 849)** ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

FIFA WORLD CUP Brasil



## არანაირი თუ

ლელოს სტუმარია თბილისის დინამოს მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი

3



## გერმანიამ მწვანეები გააშავა

ბრაზილია 2014. შესარჩევი მატჩები

9

# 1:1

# ფინურ სუსხში ანგარიშიც აიბუზა






გოლი ფინეთის ნაკრების კარში



## კობი ბრაიანტი ეგოისტი ერთხელაც ვერ მოიგებს ტიტულს

14

## მეათე



გუშინ ვიქტორ სანიკიძემ ევროლიგაზე სადებიუტო მატჩი ჩაატარა. იგი მეათე ქართველია, რომელსაც ამ შეჯიბრებაში უთამაშია.

ვიქტორის "მონტეპასკიმ" ბერლინის "ალბას" უმასპინძლა და მოულოდნელი მარცხი იწვნია – 82:92. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა 17 წუთში 6 ქულა და თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა მოაგროვა.



12

## ბოისა დაბრუნდა

ეროვნული ნაკრები

# მონაგარის და დანაკარგის

12.10. ჰელსინკი. ოლიმპიური
15 000 მაყურებელი

ფინეთი 1
საქართველო 1

0:1 კაშია (56), 1:1 ჰამალაინენი (63)

| ფინეთი 4-2-3-1 | საქართველო 4-2-3-1 |
|---|---|
| მაენპაა | რევიშვილი |
| რაიტალა | კაშია |
| ი. ოიალა | ხიზანიშვილი |
| მოისანდერი | ამისულაშვილი |
| ურონენი | გრიგალავა |
| რინგი | დაუშვილი |
| სპარვი | კანკავა |
| ჰამალაინენი | თარგამაძე |
| რ. ერიომენკო | კობახიძე |
| ა. ერიომენკო | ოქრიაშვილი |
| პუკი | მჭედლიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. პაატელაინენი | თ. ქეცბაია |

**ფინეთი**

62. პუკი - ჰეტემაი

სათადარიგოები: **ჰრადეცკი, სილანპაა, პასანენი, ტოივიო, არაიური, კოლემაინენი, მ. ოიალა, სუმუსალო, ჰალსტი, სიოლუნდი, პოროკარა**

**საქართველო**

59. მჭედლიძე – **დევდარიანი**
67. ოქრიაშვილი – **ანანიძე**
81. თარგამაძე – **ჟღენტი**

სათადარიგოები: **კვასხვაძე, ფოფხაძე, ლობჟანიძე, ხუბუტია, თომაშვილი, გურული, ძალამიძე, სირბილაძე**

გაფრთხილება: **ა. ერიომენკო (14), ოქრიაშვილი (41), ჰეტემაი (88)**

გაძევება: **ა. ერიომენკო (59)**

არბიტრი: **ე. არანოვსკი (უკრაინა)**

ექვს წელიწადზე მეტია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ოფიციალური გასვლითი მატჩი არ მოუგია. გუშინ **თემურ ქეცბაიას** გუნდი ამ უსიამოვნო სერიის შეწყვეტასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ძალიან ხელსაყრელი სიტუაცია ვერ გამოიყენა და ქულას დასჯერდა.

ზოგადად, ფინეთში მიღწეულ ფრეს ჩვენი კლასის ნაკრებისთვის ურიგო შედეგი ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რა მოვლენებიც მოედანზე განვითარდა, საქართველოს ნაკრებს გამარჯვება მართებდა. როცა დაწინაურდები და მეტოქე მალევე რიცხვნაკლული დარჩება, ვალდებული ხარ, უპირატესობა შეინარჩუნო, თუმცა ქართველებმა ეს ვერ შეძლეს და ათკაციან მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს.

ჰელსინკიში საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში სიურპრიზები არ ყოფილა. ტრავმირებული **გიორგი ლორიას** ნაცვლად ქეცბაიამ კარში ადგილი **ნუკრი რევიშვილს** ანდო, რომელიც კლუბში ბოლო დროს არასისტემატურად თამაშობს.

პირველი ტაიმი ძალიან უსახური სანახავი გამოდგა და გასახსენებელიც ბევრი არაფერი დაგვიტოვა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე სტუმრები გააქტიურდნენ და **გურამ კაშიას** თავური ფინელთა მეკარემ მოიგერია.

მატჩის მეორე ნახევარი კი შინაარსიანი და საინტერესო მოვლენებით ალსავსე იყო. შეტევების ორგანიზებას ორივე გუნდი ახერხებდა და იგრძნობოდა, რომ რომელიმე მათგანი ანგარიშს აუცილებლად გახსნიდა. მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა ორი სახიფათო იერიში განახორციელეს – ჯერ კაშიამ განმუხტა ხიფათი, შემდეგ კი **კასპერ ჰამალაინენმა** მახვილი კუთხიდან ბურთი ძელს გაარტყა.

56-ე წუთზე კი ჩვენები დაწინაურდნენ – **დავით თარგამაძის** მიერ მოწოდებულ კუთხურს კაშიას თავური მოჰყვა, საქართველოს ნაკრების მცველს მცირე რიკოშეტიც დაეხმარა და ბურთი ფინელთა კარის ბადეში აღმოჩნდა.

სამიოდე წუთში ფინელები ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – **ალექსეი ერიომენკომ** ჩვენს საჯარიმოში ხელით ითამაშა და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

ქეცბაიამ ერთდაერთი ფორვარდი, **ლევან მჭედლიძე** შეცვალა, თუმცა ამ სვლამ ვერ გაამართლა. ფინეთის ნაკრებმა წონასწორობა სულ მალე აღადგინა, რასაც მხოლოდ ჰამალაინენის ინდივიდუალური ოსტატობით მიაღწია. გოლი ბრწყინვალე გამოვიდა – ფინელთა ფორვარდმა ჯერ **ზურაბ ხიზანიშვილი** დაჯაბნა, შემდეგ კი რევიშვილმა დაუშვა უხეში შეცდომა და ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა.

დარჩენილმა დრომ ქართველთა უპირატესობით ჩაიარა, თუმცა ქეცბაიას ფეხბურთელებმა სიტუაცია სათავისოდ ველარ შეატრიალეს. **ალექსანდრე კობახიძისა** და **ჯანო ანანიძის** დარტყმები მაღალ დონეზე მოთამაშე **მაენპაამ** მოიგერია, **ჯაბა კანკავას** კი მიზანმა უმტყუნა.

საბოლოოდ, ფრე, რომელიც ამ შემთხვევაში არა სასიხარულო, არამედ გულდასაწყვეტია. წინ კი უქულო და გამარჯვებას მოწყურებულ ბელარუსთან გასვლითი ჯახია, სადაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ გუშინდელზე უფრო მძიმე ბრძოლა გველის.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრებმა გუშინ შემტევი ფეხბურთის თამაში სცადა და რიგ ეპიზოდებში ეს ნორმალურადაც გამოსდიოდა, უხეში შეცდომებით მაინც დავზარალდით. ეს შეცდომა კი, ვფიქრობთ, ქართველთა მხრიდან მხოლოდ ფინელთა გოლის ეპიზოდში არ ყოფილა დაშვებული...

**მეტოქეები**

**ბელარუსი–ესპანეთი 0:4**

0:1 ხორდი ალბა (12), 0:2 პედრო (21), 0:3 პედრო (69), 0:4 პედრო (72)

ბელარუსი: **ვერემკო, დრაგუნი (79. ჩუხლეი), მარტინოვიჩი, შიტოვი, პლასკონნი, ვოლოდკო (46. კისლიაკი), ტიგორევი, ბორდაჩოვი, ფილიპენკო, ა. გლები, როდიონოვი (65. ბრესანი).**

ესპანეთი: **კასილასი, არბელოა, სერხიო რამოსი (70. ალბიოლი), ბუსკეტსი, ხორდი ალბა, ხაბი ალონსო, ხავი (76. ვილია), სილვა (56. ინიესტა), კასორლა, პედრო, ფაბრეგასი.**

გაფრთხილება: **დრაგუნი, შიტოვი – სილვა**

თუკი თბილისში გასამარჯვებლად ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, მინსკში ესპანელებმა ერთი ამოსუნთქვით მოიგეს და ჩვენი ჯგუფის სატურნირო ცხრილს სათავეშიც ჩაუდგნენ. ევროპისა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა ორი სწრაფი გოლით საქმე თავიდანვე მოამთავრეს. მატჩის გმირი ბარსელონელი **პედროა**, რომელმაც **ვისენტე დელ ბოსკეს** ძირითად შემადგენლობაში დაყენებისთვის ნდობა ჰეთ-თრიქით გაუმართლა.

**კარლეს პუიოლისა** და **ხერარდ პიკეს** არყოფნაში ესპანელთა დაცვის ცენტრში **სერხიო რამოსს სერხიო ბუსკეტსი** შეუწყვილდა, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **სესკ ფაბრეგასმა** ითამაშა.

2012 წელს საქართველოს ნაკრები მინიმუმ მესამე პოზიციაზე დაასრულებს, მეორე საფეხურზე კი იმ შემთხვევაში გადაინაცვლებს, ბელარუსში თუ მოიგებს და ესპანეთისა და საფრანგეთის შეხვედრა ფრედ არ დასრულდება.

**I ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 4. ფინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. ბელარუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**16 ოქტომბერი**

ბელარუსი-საქართველო
ესპანეთი-საფრანგეთი

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფუტსალი. უეფას თასი. ელიტრაუნდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ბოლო ტურის ინტრიგა

ევროპის ფუტსალის თასის გათამაშების ელიტრაუნდის მეორე ტურში "იბერია სტარი" უნგრეთის ჩემპიონ "დიორ ეტოს" დაუპირისპირდა და გუშინდელი მატჩის მოგებით სატურნირო ცხრილში ლიდერობის განმტკიცების შანსი ჰქონდა.

ამჯერად, „იბერია სტარმა" მცირე ნაბიჯი გადადგა, ფინალური ოთხეულისკენ მიმავალი გზა გაირთულა და შეძლებს თუ არა მიზნის მიღწევას, ეს ბოლო ტურში გაირკვევა.

**სერჟიო ბენატის** განვრთნილებმა შეხვედრა ამჯერადაც შეტევებით დაიწყეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. უნგრელები თავიდან დაბნეულები ჩანდნენ: ეს იმ ორ ეპიზოდში გამოჩნდა, კარის წინ ჩვენებს ბურთი რომ ჩააბარეს, მაგრამ იბერიელებმა ამ საჩუქრით ვერ ისარგებლეს და მალე დაისაჯნენ კიდეც - კონტრშეტევაზე **ზოლტან დროტმა** ანგარიში გახსნა.

**რობერტო ბეტინიომ** წონასწორობა მალე აღადგინა და "იბერია" კვლავ დომინირებდა, მაგრამ სტუმრები აზრიანად თამაშობდნენ და სწრაფი კონტრშეტევებით მასპინძლებს თავსატეხს ხშირად უჩენდნენ. ჩვენებს კი შეტევების სწრაფად განვითარება უჭირდათ. პირველი ტაიმის დასრულებამდე "დიორ ეტოს" ესპანელმა ლეგიონერმა **გარიდო ისიმ** სტუმრები კიდევ ერთხელ დააწინაურა.

მეორე ნახევარი დაძაბული გამოდგა, "იბერიას" უპირატესობა უფრო აშკარა გახდა, მაგრამ უნგრელთა მეკარე **ზოლტან ბოლაჟი** ჩინებულად თამაშობდა. თუმცა, 31-ე წუთზე "დიორი" მაინც ვერ გადაარჩინა, როდესაც **რაფამ** ფლანგზე გარღვევის შემდეგ კუთხეში ტექნიკურად დაურტყა - 2:2.

ჩვენგან განსხვავებით, უნგრელებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ და ბოლოს მეკარე მოთამაშით შეცვალეს, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს და ფრეს დასჯერდნენ.

**იბერია სტარი (საქართველო)–დიორ ეტო (უნგრეთი) 2:2**

0:1 დროტი (7), 1:1 რონინიო (8), 1:2 ისი (18), 2:2 რაფა (31).

იბერია სტარი: **სელიო, ბეტინიო, რონინიო, აუგუსტუ, ბრუნო მელო, რომარიო; აკოპოვი, ლუსიო, რაფა, ძაბირაძე, ფუსტეჟილი, ალთუნაშვილი, სილვა.**

მწვრთნელი: **ს. ბენატი**

დიორ ეტო: **ბოლაჟი, ლუკე, ალ-იოანი, ხუანრა, აგიარი; მოტკოვიჩი, ლოუდი, სელი, ხარნიში, დროტი, მარტინში, ხორვატი.**

მწვრთნელი: **მ. ლოპესი**

გაფრთხილება: **რომარიო – ალ-იოანი, ხუანრა**

არბიტრები: **ლ. პეშკო (სლოვაკეთი), გ. ბაუერფრენდი (ავსტრია)**

**ბენფიკა (პორტუგალია)–ლუპარენსე (იტალია) 3:2**

0:1 კაპუტო (1), 1:1 ნენე (12), 1:2 პედოტი (22), 2:2 მარინიო (34), 3:2 ტეკა (38).

მეტოქეებს ბრძოლის გასაგრძელებლად მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ. გათამაშების ფავორიტი "ბენფიკა" შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე აგებდა, მაგრამ იტალიელებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და ბოლო ტურში ერთადერთი "ლუპარენსეა", რომელსაც ფინალურ ოთხეულში მოხვედრის თეორიული შანსიც გადაეწურა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-3 | 4 |
| 2. ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-5 | 4 |
| 3. დიორი ეტო | 2 | 0 | 2 | 0 | 5-5 | 2 |
| 4. ლუპარენსე | 2 | 0 | 0 | 0 | 3-9 | 0 |

**14 ოქტომბერი**

15:00 ლუპარენსე- დიორი ეტო
18:15 იბერია სტარი-ბენფიკა

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არანაირი ლიმ

## დინამოელებს თავდაჯერებულობას ვასწავლი

**"დინამო თბილისის" ჩეხი მწვრთნელი დუშან უჰრინი-უმცროსი – სტუმარი მართლაც რომ მნიშვნელოვანი გვყავდა. ახლახან მას 45 წელი შეუსრულდა, თუმცა დაბადების დღის აღნიშვნა ვერ მოახერხა, — ოჯახის ჩამოსვლას ველოდებიო.**

**უჰრინს აქვს იუმორი და ეხერხება მასმედიასთან ურთიერთობა, რაც, რა თქმა უნდა, მწვრთნელისთვის ძალიან საჭირო თვისებაა. "დინამო" მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია და მთავარი ბრძოლები წინ აქვს, იმის თქმა კი ახლავე შეიძლება, რომ უმცროსმა უჰრინმა გუნდში სიტუაცია დაალაგა და ამით სამუშაოს ერთი ნაწილი შესრულებული აქვს.**

**მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს "დინამო თბილისის" მთავარი მწვრთნელი პასუხობს.**



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- უკვე რამდენიმე თვეა, რაც საქართველოში მუშაობთ. როგორ შეეგუეთ აქაურობას, რა შთაბეჭდილება გრჩებათ?**

- დიდი ხანი მაინც არ არის გასული, რაც აქ ვარ. საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები ხდება, რაც ფეხბურთისთვისაც მნიშვნელოვანია. ინტერესით ველოდი, რომელი მხარე მოიგებდა არჩევნებს. თბილისი ლამაზდება. პრაღაში ოცი წლის წინ დაიწყეს ქალაქის გალამაზება და ახლა კიდევ უფრო მშვენიერი დედაქალაქი გვაქვს. საქართველოში მუშაობით კმაყოფილი ვარ, უმეტეს დროს "დინამოს" ბაზაზე ვატარებ, ყველა გვერდში მიდგას და მონდომებით მუშაობს.

**- ოთხი წელია, "დინამო" ჩემპიონი არ გამხდარა, ასეთი დიდი წყვეტა ამ გუნდს მანამდე არ ჰქონია, ბოლოს მამათქვენის მწვრთნელობის დროს გახდა "დინამო" საქართველოს ჩემპიონი...**

- "დინამოში" განახლების პროცესი მიდის. ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა უნდა ვასწავლო, "დინამოში" ყველამ უნდა გაითვითცნობიეროს, თუ რას ნიშნავს, იყო პირველი. "დინამოს" ხომ დიდი ისტორია აქვს.

**- თუ ამ სეზონში "დინამო" ჩემპიონი ვერ გახდება, ეს თქვენთვის წარუმატებლობად ჩაითვლება?**

- არ მინდა ვთქვა: თუ. ეს სპორტია და წინასწარ ძნელია კატეგორიული ლაპარაკი. აქ რომ ჩამოვედი, ამის მიზეზი ფული არ ყოფილა, მე მინდა რომ ჩემპიონი გავხდე.

**- თქვენი ხელმძღვანელობით "დინამომ" მხოლოდ ერთი მატჩი წააგო...**

- გორის "დილასთან" მართლა ვერ ვითამაშეთ კარგად. ყველა თამაშის მოგება შეუძლებელი არ არის, მაგრამ არ მინდა იმის თქმა, რომ ყველა თამაშს მოვიგებთ.

**- ლეგიონერებით გაძლიერებას კიდევ აპირებთ?**

- ამ საკითხზე დეკემბრიდან დავფიქრდებით. თუ კმაყოფილი არ ვიქნები, არ არის გამორიცხული, რომ "დინამო" რომელიმე ლეგიონერმა დატოვოს.

**- ტაქტიკური სქემის შეცვლა რამდენად მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში?**

- 4-4-2-ს ვანიჭებ უპირატესობას, თუმცა შესაძლოა, რომ 4-3-3 ავირჩიოთ სიტუაციიდან გამომდინარე. განლაგება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ფეხბურთელები არიან ჩვენს განკარგულებაში.

**- როგორ ფიქრობთ, უფრო მაინც სად არის ჩისკოს ადგილი, რომელ პოზიციაზე?**

- ის მეორე ფორვარდია, ათი ნომრის პოზიციაზე ეფექტურია, გონება უჭრის, საგოლე ალღოც აქვს და კარგი გადაცემის შესრულებაც შეუძლია.

**- გიორგი მერებაშვილზე რას გვეტყოდით? როგორ შეადარებდით მას ჩისკოსთან?**

- მერებაშვილი ინდივიდუალისტია, ვმუშაობთ იმაზე, რომ შეცვალოს რალაც-რალაცეები და უფრო გუნდისთვის ითამაშოს. ის და ჩისკო სხვადასხვა ფეხბურთელები არიან. ჩისკოს სანიმუშო ხასიათი აქვს, სულ გამარჯვება უნდა.

**- როცა მამათქვენი თავკაცობდა "დინამოს", გუნდში მერებაშვილი იყო ლიდერი...**

- მერებაშვილი ლიდერი? რატომაც არა, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

**- მიგაჩნიათ, რომ ჩისკო საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესოა?**

- ამ პოზიციაზე ის მართლაც საუკეთესოა.

**- ორი ლეგიონერი "დინამომ" თქვენი თანხმობის შედეგად დაიმატა. რამდენად კმაყოფილი ხართ ვოსკობოინიკოვითა და გლიშიჩით?**

- ვოსკობოინიკოვი ისეთი შემტევია, რომელიც ბევრს დარბის, რითაც ზეწოლას ახორციელებს მეტოქე მცველებზე და პოზიციას უმზადებს თანაგუნდელ თავდამსხმელს, უხსნის სივრცეებს. როცა ის "დინამოში" მოვიდა, ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ იყო, ახლა კი უკვე უკეთესად ათამაშდა. ზოგს ახალ გუნდთან, ახალ გარემოსთან შესაგუებლად ცოტა დრო სჭირდება, ზოგს კი უფრო მეტი. რაც შეეხება მარცხენაფლანგელ გლიშიჩს, ისიც ბოლო დროს უკეთესად თამაშობს და ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდა. მას კარგი ჩაწოდება და დარტყმა აქვს.

**- "დინამომ" თქვენი ხელმძღვანელობით არაერთი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით, თუმცა დაცვაში უნაკლოდ არ გამოიყურებოდით...**

- ყველაფრით კმაყოფილი მართლა არ ვარ. დაცვაში რამდენჯერმე სულელური შეცდომები დავუშვით, "დილასთან" მარცხს ვერ ვივიწყებ...მე გახსნილი ფეხბურთი მიყვარს, ბევრი გოლი უნდა გავიტანოთ და შესაძლოა, ერთი საკუთარ კარშიც გავუშვათ. მსურს, რომ ჩემი გუნდის თამაში მაყურებლისთვის მიმზიდველი იყოს, მაგრამ ჩვენს თამაშებზე ბევრი ხალხი მაინც არ დადის...



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- "დინამო 2", "დინამოს" დუბლშემადგენლობა – ამ გუნდების ხელმძღვანელობაც თქვენი კომპეტენციაა? "დინამო 2"-დან ორი ფეხბურთელი აიყვანეთ პირველ გუნდში, რას გვეტყოდით ლაშა პარუნაშვილის და გიორგი პაპავას პერსპექტივაზე?**

- პირველ გუნდში მოხვედრის შანსი ყველას აქვს. ახალგაზრდებმა გამოცდილი ფეხბურთელებისგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ. ზოგ ახალგაზრდას 3-4- თვე სჭირდება პირველი გუნდის ძირითადში მოსახვედრად, ზოგს კი ნახევარი წელი. "ტიმიშოარაში" რომ ვმუშაობდი, 16-17 წლის ფეხბურთელები ავიყვანე პირველ გუნდში და ერთ წელიწადში უკვე ძირითადში მოხვდნენ.

**- რას იტყოდით იმ მოედნებზე, საქართველოში რომ აქვთ გუნდებს. მომდევნო ტურში მარტვილში მოგიწევთ თამაში...**

- მარტვილშიც უნდა მოვიგოთ, მეტოქეც ხომ იმავე მინდორზე ითამაშებს. მოედნების საკითხში მთავრობა უნდა ეხმარებოდეს ფეხბურთს, სადაც კი მიმუშავია, ასე იყო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები აგვარებდნენ ამ საკითხს.

**- საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშებს დაესწარით – რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- თქვენმა ნაკრებმა ცოტა არ იყოს, დაცვითი ფეხბურთი ითამაშა, ესპანეთის ნაკრებთან სხვანაირად ალბათ ვერც იქნებოდა. ბელარუსის დამარცხება კი არ არის ადვილი საქმე, საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეა. ბელარუსის ნაკრებს თამაშის ხარისხით ჩეხეთის ეროვნულ გუნდს შევადარებდი. საქართველოს ნაკრებს მართლაც კარგი მწვრთნელი ჰყავს, თემურ ქეცბაიას ევროპაში ყველა იცნობს.

**- გიორგი ლორიას გარდა კიდევ ვინ იმსახურებს "დინამოდან" საქართველოს ნაკრებში თამაშს?**

- რეხვიაშვილი, ხმალაძე...ჯაბა დვალიც მართლა კარგი თავდამსხმელია.

**- თქვენ არ გიოცნებიათ ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელობაზე?**

- არა, ფეხბურთელებთან ყოველდღიური მუშაობა მირჩევნია.

**- საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ნიკა კვეკვესკირი კარგა ხანს არ ჩანდა "დინამოს" პირველ გუნდში...**

- მისი მომავალი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. მე არ მყავს გუნდში ჩემი ჯილა, ყველა ფეხბურთელთან ერთი და იგივე დამოკიდებულება მაქვს. მინდა ყველა ფეხბურთელმა იგრძნოს, რომ აქვს პირველ გუნდში დამკვიდრების შანსი. ისე კი, შემადგენლობის როტაცია არ მიყვარს.

**- აქაურ მსაჯებზე რას იტყოდით?**

- მსაჯების მიმართ პრეტენზიები ყველგან აქვთ ხოლმე, შესაძლოა, ჩეხეთში ოდნავ უკეთესობა იყოს ამ მხრივ.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უმთავრეს კონკურენტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?**

- "დილა", "ზესტაფონი", "ტორპედო" და ჩვენ – ჩემპიონობისთვის ეს გუნდები იბრძოლებენ. ჩვენს კონკურენტებს საკმაოდ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, ცუდ ფეხბურთს ნამდვილად არ თამაშობენ, ნებისმიერ მეტოქე გუნდს პატივს ვცემ.

**- ჩეხურ ფეხბურთში რა ვითარებაა? ბოლო დროს ჩეხეთის ნაკრებს მნიშვნელოვანი წარმატებები არ აქვს...**

- თითქოს კალაპოტიდან ვართ ამოვარდნილები. პობორსკი, ნედვედი, ბერგერი...ასეთი თაობა აღარ გვყავს, პრობლემები გვაქვს დაცვის ხაზში, ნაკრების მწვრთნელს უბრალოდ არ აქვს იმის საშუალება, რომ უკეთესი ფეხბურთელებით დააკომპლექტოს გუნდი. ნაკრების მიმართ კრიტიკა ბევრია...რაც შეეხება მილან ბაროშს, ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ პიროვნულად...

**- მამათქვენს ხშირად ელაპარაკებით? ისევ ხომ არ აპირებს მწვრთნელობას?**

- საქართველოში მუშაობით და ცხოვრებით ის ძალიან კმაყოფილი იყო, მწვრთნელობა კი დაასრულა, დედაჩემსაც ის უნდა, რომ დაისვენოს და აქეთ-იქეთ აღარ მოუწიოს მუშაობა. მამაჩემს ისედაც უკვე ბევრი ტიტული აქვს მოპოვებული ფეხბურთში. მას ტელეფონით ვუკავშირდები ხოლმე და მხოლოდ ფეხბურთზე ვსაუბრობთ...



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩვენებური უცხოეთში

# გუცაევი ალანიაში მეტ ქართველს დაიმატებსო



ვალერი გაზაევი (მარცხნივ) და ვლადიმერ გუცაევი ალანიაში ერთად უკვე მუშაობდნენ

ცნობილია, რომ ოქტომბრის დასაწყისში ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეზიდენტმა **ვალერი გაზაევმა** გუნდში **ვლადიმერ გუცაევი** დააბრუნა. მან თბილისის "დინამოს" ყოფილი ვარსკვლავი რუსეთის საფეხბურთო პრემიერლიგის კლუბში სპორტული დირექტორის პოსტზე მიიწვია.

"ალანიაში" გუცაევის მესამე დაბრუნების შემდეგ რუსული გაზეთის, "კომსომოლსკაია პრავდას" ჟურნალისტი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ვლადიკავკაზური კლუბის საკადრო პოლიტიკა "სამხრეთულ იერს" მიიღებს: "ფეხბურთში მუშაობის შემდეგ, გუცაევმა თავი პოლიტიკური საქმიანობითაც გამოიჩინა და პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ "ალანიაში" მეზობელი ქვეყნის კიდევ ერთი მოქალაქე – საქართველოს ნაკრების 26 წლის ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი, რომელმაც კლუბთან კონტრაქტი წლეულს ზაფხულში გააფორმა. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ კლუბში გუცაევის დაბრუნებას, შესაძლოა, ოსურ კლუბში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გადმოსვლა მოჰყვეს. ადრე ხომ კლუბში ისინი მრავლად თამაშობდნენ".

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი "ალანიაში" 1994-1995 წლებშიც მუშაობდა, როდესაც ვლადიკავკაზური კლუბი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად გახდა რუსეთის ჩემპიონი – მაშინ გუცაევი გუნდის უფროსი იყო. მერე საქართველოში დაბრუნდა და ახალგაზრდული ნაკრები ჩაიბარა, სადაც წარმატებული მუშაობა დაუფასეს და ეროვნული ნაკრები ჩააბარეს. გუცაევი "ალანიაში" მეორედ 1999-2000 წლებში დააბრუნეს – ამჯერად, მთავარი მწვრთნელის პოსტზე და მის დროს, "ალანიაში" ბევრი ცნობილი ქართველი მოთამაშე გადავიდა.

● დილა



# კვირკველია მალე დაბრუნდება

**თემურ ქეცბაიამ** გორის "დილადან" ეროვნულ ნაკრებში სამი ფეხბურთელი გამოიძახა - **დავით კვირკველია, გულვერდ თომაშვილი** და **სანდრო გურული.** მაგრამ ბათუმის "დინამოსთან" შეხვედრაში კვირკველია დაშავდა და ნაკრების შეკრებას გამოაკლდა.

რამდენად მძიმეა მიღებული ტრავმა? ამის თაობაზე კვირკველიამ კომენტარი კლუბის ვებგვერდზე გააკეთა. როგორც გაირკვა, საშიში არაფერია: მას ექიმებმა გუნდთან ერთად ვარჯიში მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში აუკრძალეს და ამის შემდეგ მოედანს დაუბრუნდება.

● რეგიონი

# ახალი ქართლი ძველ ნაკვალევზე

სულ რაღაც სამი წლის წინ გორში ფეხბურთი არავის ახსოვდა და "დილა" ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რეგიონულ ლიგაში გამოსვლითაც კმაყოფილი იყო. ეს იმიტომ, რომ გუნდის ყოფნა-არყოფნაზე იყო ლაპარაკი.

ახლა გორში საფეხბურთო ბუმია. "დილა" უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ფავორიტია და ჩემპიონობისთვის იბრძვის. ამასთან ერთად, 2011 წლის ნოემბერში გორში "ქართლი 2011" დაარსდა, რომელიც ჯერ საფეხბურთო აკადემია იყო, რომელიც შემდეგ ისეთ მადაზე მოვიდა, რომ რეგიონულ ლიგაში საკუთარი კლუბი გამოიყვანა და პირველ ლიგაში გადასვლის რეალური კანდიდატია.

საინტერესოა, რომ კლუბს აქვს საკუთარი ვებგვერდი, საიდანაც გუნდის ისტორია შევიტყვეთ. ყველაფერი შემთხვევითი შეხვედრით დაიწყო: ორი მეგობარი, ვეტერანი ფეხბურთელები **პაატა ფილიევი** და **გია რევაზიშვილი** ერთ-ერთი ლონისძიების შემდეგ შეხვდნენ. იმ დროს რევაზიშვილი საფეხბურთო სკოლის დირექტორი გახლდათ, ამჟამად კი შიდა ქართლის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია.

ცხადია, გორის ფეხბურთის პრობლემებზეც ისაუბრეს. ორივე გულდაწყვეტილი იყო იმით, რომ საკმაოდ კარგი ტრადიციების მქონე ქალაქი ნიჭიერი ფეხბურთელების სიმცირეს განიცდიდა. ფილიევმა რევაზიშვილი დაამშვიდა, მალე გორის ფეხბურთი საფეხბურთო სამყაროში კვლავ დაიკავებს ღირსეულ ადგილსო.

ის რასაც გულისხმობდა, რევაზიშვილმა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეიტყო: ფილიევმა ბიზნესი წამოიწყო და საქმიანობა უცხოეთში გააგრძელა, რევაზიშვილი კი, რეგიონის ფეხბურთში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, შიდა ქართლის ფეხბურთს არ ჩამოშორებია.

მრავალი წლის შემდეგ მეგობრების სატელეფონო საუბრისას გადაწყდა, რომ გორში ისეთი საფეხბურთო აკადემია დაეარსებინათ, რომელზეც მრავალი წლის წინ ოცნებობდნენ.

ასე დაფუძნდა 2011 წლის ნოემბერში საფეხბურთო აკადემია "ქართლი 2011" და ამჟამად მიმდინარეობს საფეხბურთო ბაზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. "ქართლი 2011"-ს გააჩნია საკუთარი გერბი, დროშა და ჰიმნი, ფეხბურთელებს და მწვრთნელებს თავად ამარაგებს სპორტული ეკიპირებით და მისი გუნდები რეგიონული ლიგის გარდა, მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირში.





გორის აკადემიაში დაფიქსირებული ეს ფაქტი კი ქართული ფეხბურთისთვის მრავლისმეტყველია: სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმდა სპორტული ტრავმების კორპორაციული დაზღვევის ხელშეკრულება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაშავებული მოთამაშეები ამ სერვისით ისარგებლებენ და ფულის ძიება და სესხება არ მოუწევთ. ეს ცივილიზებულ სამყაროში ელემენტარული ამბავია, მაგრამ საქართველოში ასეთი პრეცედენტი ადრე მხოლოდ ორიოდე საფეხბურთო სკოლაში დაფიქსირდა და უდავოდ პროგრესული ნაბიჯია - ასეთ მომსახურებას ხომ ხშირად თავს უმაღლესი ლიგის კლუბებიც არიდებენ. მეტიც, ჩვენი ჩემპიონატის ლიდერთა ნაწილსაც (?!) დაშავებულთა მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება არ სურს, რაც 21-ე საუკუნეში ნონსენსია.

რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე "ქართლი 2011-ის შემადგენლობაში რამდენიმე ცნობილი მოთამაშე ირიცხება: მცველი **კობა ხანიშვილი,** რომელიც შეთავსებით საფეხბურთო აკადემიაში მწვრთნელიც გახლავთ, გორის "დილას" ყოფილი ნახევარმცველები **ომარ ცარიელაშვილი, ნოდარ ნოზაძე** და **დავით ტლაშაძე,** "ვიტ ჯორჯიას" ყოფილი მცველი **ამირან ყველაშვილი.**

ამ ყველაფერს იმიტომ ვწერთ და აღვნიშნავთ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველო ყველა სფეროში და მათ შორის ფეხბურთშიც, თავკომბალას დაემსგავსა – თბილისში იყო კონცენტრირებული ყველა საუკეთესო საფეხბურთო სკოლა, გუნდი და ა.შ. რაიონების სკოლებს კი ძალიან უჭირდათ, ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ პასუხობდნენ და ამიტომაც მოაკლდა ჩვენს ფეხბურთს ის მასაზრდოებელი წყარო, რაზეც იდგა. მარტო ერთ ფაქტს შეგახსენებთ: 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფის ფინალში თბილისის "დინამოში" 12-მა ფეხბურთელმა ითამაშა, რომელთაგანაც თბილისელი მხოლოდ 4 გახლდათ.

აი, ეს იყო ჩვენი ფეხბურთი. ქვეყანაში არსებული ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისისა და ჩამოშლილი საფეხბურთო სისტემის გამო, რეგიონებში საფეხბურთო ცხოვრება ჩაკვდა და მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი წყარო მოაკლდა.

ამიტომაც არის მნიშვნელოვანი თანამედროვე საფეხბურთო სკოლების აშენება გორში, ზუგდიდში, ქუთაისში და ისევ ჩვენს ფეხბურთს წაადგება, ამ სიას რაც უფრო მეტი რაიონი შეუერთდება.



● ლეგიონერი



# ალავერდაშვილს ბანგას დატოვება სურს

24 წლის **გიორგი ალავერდაშვილი** ივლისში ლიტვურ „ბანგაში" ჩაირიცხა, სადებიუტო შეხვედრაში დუბლით გამოიჩინა თავი და მას შემდეგ კარგად ათამაშდა. მაშინ გუნდი ლიტვის ჩემპიონატის აუტსაიდერი იყო, ახლა კი 41 ქულით 10-გუნდიან ტურნირში მე-6 ადგილზეა, უახლოეს მდევარ „დაინავას" 13 ქულით უსწრებს და გავარდნის საფრთხე თავიდან აიცილა.

ქართველმა თავდამსხმელმა კი 12 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ ლიტვურმა საფეხბურთო არხმა „ფუტბოლო.ტვ"-მ „ტაურასთან" გიორგის მიერ გატანილი გოლი 25-ე ტურში საუკეთესოდ დაასახელა, შემდეგ კი - მესამე წრის საუკეთესო გოლის ავტორიც გახდა.

ფეხბურთელისთვის, რომელსაც ტრავმების გამო ბოლო ოთხი წელინადი ნორმალურად არ უთამაშია, ეს ბევრს ნიშნავდა და სპეციალისტების ყურადღება მიიქცია.

*"12 თამაშში 8 გოლი და 3 საგოლე გადაცემა მაქვს და ვიცი, კლუბში ჩემით კმაყოფილები არიან. სეზონის დასრულებამდე 4 ტური დარჩა, გუნდმა აუტსაიდერთა ზონას თავი დააღწია და ახლა ლიტვის თასზე გადავერთეთ, ევროპის ლიგაზე რომ გავიდეთ. კონტრაქტი მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი ვხდები. "ბანგა" ახალ ხელშეკრულებას მთავაზობს, მაგრამ თანხმობის მიცემას არ ვჩქარობ, რადგან არის სხვა შემოთავაზებები და იმედია, უკეთეს კლუბში მოვხვდები. რომელიმე კლუბი დაინტერესდა? ამაზე ჯერ არაფერს ვიტყვი. სეზონი მიმდინარეობს, მსურს მეტი გავიტანო და შესაძლებლობები ბოლომდე გამოვავლინო. მანამდე ტრანსფერის ამბავი ვერ გადაწყდება. თამაშს ან "ბანგაში" გავაგრძელებ ან სხვა კლუბში გადავალ. წინასწარ ლაპარაკი არ მინდა, რადგან აქამდე რაც ვთქვი, არაფერი გამოვიდა",* - გვითხრა ალავერდაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „ბანგაში" კიდევ ორი ქართველი თამაშობს: ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** და თავდამსხმელი **გიორგი ნიქაბაძე.**

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ალექს ფერგიუსონი



ხანდახან ალექს ფერგიუსონი იუმორსა და უხეშობას შორის ზღვარს ვერ პოულობს

# შტრიხები გენიოსის პორტრეტიდან

“მანჩესტერ იუნაიტედის” მთავარი მწვრთნელი, 70 წლის ალექს ფერგიუსონი ცნობილია თავისი იუმორით, მაგრამ ხანდახან მისი გამონათქვამები იმდენად უხეში ხდება, რომ იუმორთან საერთო უკვე ალარაფერი აქვს. “ინდეპენდენტმა” კარიერის განმავლობაში მისი ყველაზე ხმაურიანი ფრაზები გაიხსენა და ერთად შემოგვთავაზა.

* “სულ რაღაც ოთხი წუთი დაგვიმატეს. ეს უბრალოდ ასეთი მაღალი დონის შეხვედრის შეურაცხყოფაა. მსგავსი დამოკიდებულება შანსსაც კი გვისპობს, რომ თამაში მოვიგოთ. ექვსი შეცვლა უკვე 4 წუთია, ამას გარდა მეტოქის მეკარემ კიდევ 2-3 წუთი მოკლა, როცა კარიდან ბურთის გამოტანისას “დროს წელავდა”. სერიოზული შეცდომაა, როცა ჩვენს დროში დროის დამატება-არდამატებას არბიტრები წყვეტენ,” – 2012 წელი, “ტოტენჰემთან” წაგების შემდეგ.

* “დაუჯერებელია... მართლა დაუჯერებელია... ფეხბურთი. აი, ეს მესმის,” – 1999 წლის მაისი, “ბაიერნთან” ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოგების შემდეგ.

* “როცა იტალიელები გიმტკიცებენ, რომ თეფშზე პასტა დევს, სოუსის ქვეშ აუცილებლად უნდა გადაამოწმო, რომ ეს ასეა, რადგან მათსავით არავის შეუძლია თვალსა და ხელს შუა მოგატყუოს,” – 1999 წელი, “ინტერთან” ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალური მატჩის წინ.

* “ის რამდენიმე სანტიმეტრით უფრო მაღალი რომ ყოფილიყო, ინგლისის საუკეთესო ცენტრალური მცველი იქნებოდა. არადა მამამისი 190 სმ-მდეა, მგონი ჯობია, მერძევე შეამოწმონ,” – **გარი ნევილის** შესახებ, კარიერის დასრულების შემდეგ.

* “ეს უბედურება წესებიდან გამონაკლისი იყო. მსგავს შემთხვევებში ასი მილიონიდან ერთხელაც კი არ მოვიქცეოდი ასე. ჯობდა, ყურადღება თამაშზე გადამეტანა,” – **დევიდ ბექჰემისთვის** ბუცის სროლის შესახებ, როცა უკანასკნელს წარბი გაუსკდა და ექიმები იძულებულნი გახდნენ, მისთვის ნაკერები დაედოთ.

* “ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, რომ ის ინტელიგენტური ტიპაჟია, რომ ხუთ ენაზე ლაპარაკობს. მეც მყავს გუნდში 15 წლის ბიჭი, რომელმაც ასევე ხუთი ენა იცის,” – 1996 წელი, **არსენ ვენგერზე**.

* “ასეთ ტემპში მიმავალ შეხვედრას უკეთეს ფორმაში მყოფი მსაჯი უნდა ემსახურებოდეს. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ დღეს თამაში არ შედგა. საზღვარგარეთ არიან არბიტრები, რომლებიც ბრწყინვალედ გამოიყურებიან ფიზიკურად, ჩვენთანაც არიან ისეთები, რომლებიც ფორმაში არიან, მას კი ნახევარი წუთი სჭირდებოდა იმისთვის, რომ ყვითელი ბარათი ეჩვენებინა. თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო,” – მსაჯ **ალან უაილიზე**.

* “რა თქმა უნდა, ის კარგი ბიჭია, ბოსსა და დიდ კაცს მიწოდებდა პირველი მატჩის შემდეგ ერთმანეთს რომ შევხვდით, მაგრამ იმ სიტუაციას კარგი ღვინო დაამშვენებდა. იმას, რაც მან დამალევინა, ნამდვილად შარდის გემო ჰქონდა,” – **ჟოზე მოურინიოზე**.

* “ამ ფეხბურთელს შეუძლია, ცარიელ სახლში მარტომ ხმაურიანი მიტინგი მოაწყოს,” – “ჩელსის” კაპიტან **დენის უაიზზე**.

* “ეს ფეხბურთელი ნამდვილად თამაშგარე მდგომარეობაში დაიბადა,” – **ფილიპო ინძაგიზე**.

* “საერთოდ არ გენდობით. მიმტკიცებთ, რომ ადამიანებთან ურთიერთობის გაუმჯობესება გსურთ და მერე კიდევ მეკითხებით, რატომ არ ვურთიერთობ თქვენთან? თქვენ დაწყევლილი ცილისმწამებლები ხართ. ერთ დღეს თქვენთან ყველანაირ კავშირს გავწყვეტ,” – მიმართვა ჟურნალისტებს.

* “ნამდვილი ტალანტი ვარ. ალბათ ღირს, რომ მხატვრობაში ვცადო ჩემი თავი ან სადმე ამის მსგავს სფეროში,” – იმის შესახებ, თუ რას გააკეთებდა სამწვრთნელო ასპარეზიდან წასვლის შემდეგ.

* “ძნელია გამოიცნო, თუ ვისგან შეიძლება დადგეს კარგი მწვრთნელი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მარკ ჰიუზი ამ საქმეს მოჰკიდებდა ხელს და პირიქით, სულ მეგონა, რომ ბრაიან რობსონი ამისთვის იყო დაბადებული,” – ყოფილ შეგირდებზე.

* “მახსოვს პირველად რომ დავინახე, 13 წლის იყო. კოკერსპანიელივით დარბოდა მინდორზე, რომელსაც ქარის მიერ გატაცებული ფოლგის ქაღალდის დაჭერა სურდა,” – **რაიან გიგზზე**.

* “ჩემი მთავარი მიზანი დღევანდელი დღით არ შემოიფარგლება. ყველაზე მნიშვნელოვანია “ლივერპულს” დაწყევლილი პირველი ადგილი ჩამოვართვა,” – 2002 წელი, **ალან ჰანსენის** მიერ ფერგიუსონის სამწვრთნელო მომავლის ეჭვქვეშ დაყენების შემდეგ.

პერსპექტივა

# ბალკანეთის ლიგას გზა გაეხსნა



მიშელ პლატინი სიახლეებს წინამორბედებზე მეტად სწყალობს

უეფამ ნებართვა გასცა, რომ იდეით დაინტერესებულმა მხარეებმა ე.წ. ბალკანეთის ლიგის პროექტზე იმუშაონ. ის თავის თავში ყოფილი იუგოსლავიისა (სერბეთი, ჩერნოგორია, ბოსნია, მაკედონია, ხორვატია) და უნგრეთ-ბულგარეთის ჩემპიონატების გაერთიანებას ისახავს მიზნად. სექტემბერში აღნიშნული ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელების შეხვედრა შედგა უეფას პრეზიდენტთან, 57 წლის **მიშელ პლატინისთან**. ერთი შეხედვით, თუნდაც პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, იდეა უტოპიურია. ძნელად წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს, მაგალითად, საუკეთესო ხორვატული და სერბული კლუბების შეხვედრისას. ცხადია, წესრიგის შესანარჩუნებლად პოლიციას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება. ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეტაკება სწორედ ამ ორი ქვეყნის კლუბების გულშემატკივარს შორის შედგა. 1990 წლის მაისში, ზაგრების სტადიონ “მაქსიმირზე” ადგილობრივი “დინამოსა” და “ცრვენა ზვეზდას” ფანებს შორის მასობრივი ჩხუბის ლოკალიზებისთვის სამართალდამცავებს მთელი საათი დასჭირდათ. შედეგად 60-მა ადამიანმა მძიმე ტრავმა მიიღო. როგორც ამბობენ, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი საფუძველი ქვეყნებს შორის მოგვიანებით (1991 წლის მარტში) დაწყებული ომისა, რამაც 23 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რამდენიმე წლის წინ უეფამ ანალოგიური იდეის განხორციელებაზე კატეგორიული უარი უთხრა ჰოლანდიის, დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციებს. სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ქვეყნები ისევ მიუბრუნდნენ ძველ ჩანაფიქრს.

არსენალი

# ეპოქის გამოძახილი

## განსხვავებული მიდგომა შეტევაში

“არსენალის” მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის აზრით, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ინგლისური ფეხბურთი რადიკალურად შეიცვალა და შესაბამისად, კლუბებმა ფეხი უნდა აუწყონ ახალ დროებას. 62 წლის ფრანგი სპეციალისტის მტკიცებით, ყველაზე მეტად განსხვავება თავდასხმის ტაქტიკა-სტრატეგიაში შეინიშნება. თუკი ადრე აუცილებლობად მიიჩნეოდა წინა ხაზში მაღალი, ათლეტური თავდამსხმელის ყოლა, ახლა აქცენტი ისეთ ფეხბურთელებზე კეთდება, რომლებიც სხვებს მობილურობით, ტექნიკური მახასიათებლებითა და აზროვნების სისხარტით ჯობნიან. “მეტოქის საჯარიმოსთან სივრცე სულ უფრო და უფრო მცირდება. ამის წინააღმდეგ კი ყველაზე ეფექტური წამალი ტექნიკა და დახვეწილი პასია. უკანასკნელს შეუძლია, გადამწყვეტი ფაქტორი გახდეს მიზნის მიღწევაში. ასე რომ, საშუალო სიმაღლისა და ტანმორჩილი ფეხბურთელები დამატებით ფუნქციას იძენენ, რაც, თავის მხრივ, დიდი გაბარიტების მქონე ნახევარმცველებზე მოთხოვნას ამცირებს. ამას გარდა განსაკუთრებულად შეიცვალა საყრდენი ნახევარმცველების თამაშის სტილიც. ამ პოზიციის ფეხბურთელებისთვის ტექნიკა ახლა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებელია, ვიდრე წლების წინ იყო. მაგალითად ანდრეა პირლო აიღეთ. განა ის სუფთა ჩამშლელია? არა, ის შეტევების სულის ჩამდგმელიც არის,” - ამტკიცებს ვენგერი.



არსენ ვენგერის სახელს ინგლისში ბევრი ტაქტიკური სიახლე უკავშირდება

ამბები

### ბორინის უბედურება

“დეილი ტელეგრაფის” ცნობით, “ლივერპულის” 21 წლის თავდამსხმელმა **ფაბიო ბორინიმ** იტალიის U21 ნაკრების ვარჯიშზე მარჯვენა ფეხი მოიტეხა. დაზიანების სიმძიმე ჯერ დადგენილი არ არის, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ აპენინელი შემტევი საუკეთესო შემთხვევაში “წითლებს” უახლოესი თვეების განმავლობაში ვერ დაეხმარება. შესაძლოა, ფეხბურთელს ოპერაციაც კი დასჭირდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გუნდს იანვრის ბოლოს თუ დაუბრუნდება. **ბრენდან როჯერსისთვის** ეს ნამდვილად შოკი იქნება, რადგან ბორინის გამოკლების შემდეგ “ლივერპულს” ერთადერთი სუფთა თავდამსხმელი **ლუის სუარესიღა** რჩება განკარგულებაში.

### ნორვეგიელს ბოლტონი ეპატიჟება

ჩემპიონშიპში დაქვეითებულმა “ბოლტონმა” მთავარი მწვრთნელი **ოუენ კოილი** პოსტიდან რამდენიმე დღის წინ დაითხოვა და ახლა მის შემცვლელს ეძებს. “ტელეგრაფის” ცნობით, უახლოეს ხანებში კლუბის პრეზიდენტი **ფილ გარტსაიდი** ნორვეგიაში გაემგზავრება, სადაც **ოლე გუნარ სულშერთან** აპირებს მოლაპარაკებების გამართვას. 39 წლის ნორვეგიელი ამჟამად “მიოლდეს” მთავარი მწვრთნელია. “მანჩესტერ იუნაიტედის” ყოფილმა ვარსკვლავმა შარშან მშობლიურ კლუბს პირველად არსებობის ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოუტანა და მიმდინარე სეზონში, ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე მიჯრით მეორე ოქროსთანაც ახლოსაა. მეორეადგილოსანი “როზენბორგი” მას 2 ქულით ჩამორჩება. სულშერის გარდა გარტსაიდი “ვულვზის” ყოფილი დამრიგებლის **მიკ მაკარტის** კანდიდატურასაც განიხილავს.

### ვუკჩიჩმა სეზონი დაასრულა

სამწუხაროდ, “ნიუკასლის” 20 წლის სლოვენიელი ცენტრალური ნახევარმცველის **ჰარის ვუკჩიჩისთვის** 2012/13 წლების სეზონი დასრულებულია. ორშაბათს მან “ასტონ ვილას” დუბლებთან მატჩისას მუხლის ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა. საბოლოო დიაგნოზი მხოლოდ გუშინ დილას გახდა ცნობილი. ფეხბურთელს წელს ყველა ტურნირზე ერთად 4 თამაშში (2 ევროპა ლიგაზე, 1 ლიგის თასზე, 1 დუბლებში) 2 გოლი და 2 საგოლე პასი ჰქონდა ანგარიშზე.

### კიდევ ერთი გერმანელი პრემიერლიგაში?

“ტოტენჰემი” იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე შეეცდება მიონხენგლადბახის “ბორუსიიდან” 21 წლის მარჯვენა ნახევარმცველის **პატრიკ ჰერმანის** შეძენას. პატრიკს დიდი ხანია მიიჩნევენ ბუნდესგუნდის კანდიდატად, მაგრამ **იოახიმ ლიოვს** მისთვის შეკრებაზე ერთხელაც არ დაუძახია. “გლადბახთან” ხელშეკრულება მას 2014 წლის ივნისის ბოლოს ეწურება. “დეზების” გარდა მისით “ინტერი” და დორტმუნდის “ბორუსიაც” არიან დაინტერესებულნი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ბრაზილია. სერია A. XXIX ტური.



ფლუმინენსეს" ფეხბურთელები მორიგ წარმატებას ზეიმობენ

# ფლუმინენსე თითქმის ჩემპიონია

## პალმეირასს კი ცალი ფეხი სერია B-ში აქვს

**ბოტაფოგო-სანტოსი 0:2**

გოლები: 0:1 ანდრე (54), 0:2 მირალიესი (57).

**კრუზეირო-პორტუგეზა 2:0**

გოლები: 1:0 მონტილიო (37-პენ), 2:0 სოუზა (90).

**პონტე პრეტა-ნაუტიკო 2:1**

გოლები: 0:1 დუგლას სანტოსი (5), 1:1 რილდო (74), 2:1 მარკინიო (78-პენ).

**ფიგეირენსე-ატლ. გოიან. 3:1**

გოლები: 1:0 ალოიზიო (12), 1:1 დიეგო ჟარეტა (13), 2:1 რონი (34), 3:1 რონი (83).

**ბაია-ფლუმინენსე 0:2**

**გოლები:** 0:1 ბრუნო ვიეირა (59), 0:2 რაფაელ სობისი (75).

**ვასკო და გამა-სან პაულო 0:2**

**გოლები:** 0:1 ლუიშ ფაბიანო (21), 0:2 ოსვალდო (48).

**კორინთიანსი-ფლამენგო 3:2**

**გოლები:** 0:1 რენატო სანტოსი (30), 1:1 ედენილსონი (61), 2:1 პაულო ანდრე (75), 3:1 ემერსონ შეიკი (90), 3:2 ლიედსონი (90).

**ინტერნ.-ატლ. მინეირო 3:0**

**გოლები:** 1:0 ჯექსონი (66), 2:0 ფრედი (80), 3:0 კასიანო (87).

**პალმეირასი-კორიტიბა 0:1**

**გოლი:** 0:1 დეივიდი (89-პენ).

**სპორტ რესიფე-გრემიო 1:3**

**გოლები:** 0:1 ანდერსონ პიკო (44), 0:2 ლეანდრო (52), 0:3 მარკინიოსი (57), 1:3 უგო (80-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 29 | 19 | 8 | 2 | 47-18 | 65 |
| 2. გრემიო | 29 | 17 | 5 | 7 | 43-24 | 56 |
| 3. ატლ. მინეირო | 29 | 16 | 8 | 5 | 47-23 | 56 |
| 4. ვასკო და გამა | 29 | 14 | 8 | 7 | 36-29 | 50 |
| 5. სან პაულო | 29 | 15 | 4 | 10 | 44-29 | 49 |
| 6. ინტერნასიონ. | 29 | 11 | 12 | 6 | 37-24 | 45 |
| 7. კორინთიანსი | 29 | 11 | 9 | 9 | 37-30 | 42 |
| 8. ბოტაფოგო | 29 | 11 | 7 | 11 | 41-38 | 40 |
| 9. კრუზეირო | 29 | 11 | 6 | 12 | 35-38 | 39 |
| 10. სანტოსი | 29 | 9 | 11 | 9 | 35-37 | 38 |
| 11. ნაუტიკო | 29 | 11 | 4 | 14 | 36-45 | 37 |
| 12. პონტე პრეტა | 29 | 9 | 10 | 10 | 32-37 | 37 |
| 13. პორტუგეზა | 29 | 9 | 9 | 11 | 34-34 | 36 |
| 14. კორიტიბა | 29 | 10 | 5 | 14 | 41-47 | 35 |
| 15. ფლამენგო | 29 | 9 | 8 | 12 | 30-40 | 35 |
| 16. ბაია | 29 | 8 | 11 | 10 | 29-32 | 35 |
| 17. სპორტი | 29 | 6 | 9 | 14 | 25-46 | 27 |
| 18. პალმეირასი | 29 | 7 | 5 | 17 | 28-40 | 26 |
| 19. ფიგეირენსე | 29 | 6 | 7 | 16 | 33-55 | 25 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 29 | 4 | 8 | 17 | 28-52 | 20 |

**ბომბარდირები:** 14 – ფრედი (ფლუმინენსე), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 11 – ვაგნერ ლავი (ფლამენგო); 10 – ალოიზიო (ფიგეირენსე), კიეზა (ნაუტიკო).

**ბრაზილიის ჩემპიონატის 29-ე ტური უკომპრომისო გამოდგა – 10 მატჩიდან ხუთი მასპინძლებმა მოიგეს, ხუთი კი - სტუმრებმა. მორიგი გამარჯვება მოიპოვა "ფლუმინენსემ" და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ისევ წააგო "პალმეირასმა" და ამ გუნდმაც დიდი ნაბიჯი გადადგა, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით...**

### "ფლუს" მორიგი 3 ქულა

ამ ტურში "ფლუმინენსე" სალვადორში "ბაიასთან" თამაშობდა. სტუმრები მოედანზე უძლიერესი შემადგენლობით გავიდნენ და ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი დაამარცხეს. **ფრედს** ამჯერად არ გაუტანია, სამაგიეროდ თავი მარჯვენა მცველმა **ბრუნო ვიეირამ** და **რაფაელ სობისმა** გამოიჩინეს. თამაშის შემდეგ "ფლუს" ქომაგები ჩემპიონობას ზეიმობდნენ, არადა მთავარ კონკურენტ "ატლეტიკო მინეიროს" ჯერ კიდევ სათამაშო ჰქონდა.

**აბელ ბრაგა** მიღწეული შედეგით კმაყოფილი იყო: *"სამი ქულის აღების გამო ძალიან ბედნიერი ვარ. უარს არც ფრეზე ვიტყოდი, მაგრამ ვფიქრობ ჩვენი თამაშით მოგება აშკარად დავიმსახურეთ. პირველ ტაიმში აქცენტი დაცვაზე გავაკეთეთ, რადგან "ბაია" შინ ძალიან ძლიერია, თან განსაკუთრებით პირველ ტაიმში - პირველ 45 წუთში მათ, ერთი მოგებული მატჩის გარდა, ყველა საშინაო შეხვედრაში გაიტანეს. ჩვენ ეს ვიცოდით და ამიტომაც პირველ ნახევარში აქცენტი კონტრშეტევებზე გავაკეთეთ".*

**რონალდინიოს** გარეშე (დისკვალიფიკაცია) დარჩენილი "ატლეტიკო მინეირო" პორტუ ალეგრიში "ინტერნასიონალს" ეწვია და ფავორიტადაც მიიჩნეოდა, რისი მთავარი მიზეზიც მასპინძელთა დანაკლისი იყო. **ინდიო, ფაბრისიო, ბოლივარი, პაბლო გინიასუ, ანდრეს დალესანდრო, ელტონი, ლეანდრო დამიაო, დიეგო ფორლანი** და **დაგობერტო** – აი ეს ფეხბურთელები არ ჰყავდა "ინტერს", მაგრამ მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა "ატლეტიკო" გაანადგურეს და ჩემპიონობის თეორიული შანსები დაუტოვეს. ბელუ ორიზონტელებმა ბოლო 6 შეხვედრაში მხოლოდ 5 ქულა მოიპოვეს და რა გასაკვირია, რომ უკვე მეორე ადგილზეც აღარ არიან, რომელსაც "გრემიო" იკავებს...

პორტუ ალეგრეს მეორე გუნდმა, მიუხედავად ასევე დიდი დანაკლისისა (**ელანო, ზე რობერტო, ჟილბერტო სილვა, მარსელო მორენო**), ერთ-ერთი აუტსაიდერი "სპორტ რესიფე" დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე გადავიდა. მართალია ბურთების უკეთესი სხვაობა "ატლეტიკოს" აქვს, მაგრამ ბრაზილიაში, თანაბარი ქულების შემთხვევაში, პრიორიტეტი მეტი მატჩის მომგებ გუნდს ენიჭება.

### 6-ქულიანი მატჩები რიოსა და სან პაულოში

რიო-დე-ჟანეიროსა და სან პაულოში ორი 6-ქულიანი მატჩი გაიმართა: "ვასკო და გამა" – "სან პაულო" და "პალმეირასი" – "კორიტიბა". რიოში ანგარიში **ლუიშ ფაბიანომ** 21-ე წუთზე გახსნა და მე-15 შეხვედრაში მე-14 გოლი გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმის დებიუტში, თავი საოცარი ფორმაში მყოფმა **ოსვალდომ** გამოიჩინა – "სეარას" ყოფილმა ფორვარდმა ბოლო 5 მატჩში მეტოქეთა კარის აღება მეოთხედ მოახერხა.

მეორე ტაიმში უპირატესობას "ვასკო" ფლობდა, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა 39 წლის **როჟერიო სენი**, რომელმაც სეზონის შემდეგ კარიერის დასრულების სურვილი გამოთქვა. ამან "სან პაულოს" ულტრასები ააფორიაქა და მათ სპეციალური საიტი შექმნეს, სადაც სენის კარიერის გახანგრძლივებისკენ მოუწოდებენ. როჟერიო სენის ბრაზილიის ჩემპიონატში 473 თამაში აქვს ჩატარებული და ამ მაჩვენებლით ის რეკორდსმენია, გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ მას კარიერაში 100-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი. ამ სეზონში სენის ანგარიშზე 1 ბურთია.

მეორე 6-ქულიანი მატჩი სან პაულოში შედგა. უდიდესი დანაკლისის მქონე "პალმეირასი" "კორიტიბასთან" დამარცხდა და ახლა **ჟილსონ კლეინას** გუნდი მე-16 ადგილზე მყოფ "ბაიას" 9 ქულით ჩამორჩება. შეხვედრის ერთადერთი გოლი მატჩის 89-ე წუთზე **დეივიდმა** პენალტით გაიტანა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუპოვა. "ფენერის" ყოფილი ფორვარდი საოცარ ფორმაშია – მან "კორიტიბაში" სულ 5 თამაში ჩაატარა და იქიდან ბოლო 4-ში გოლი გაიტანა.

ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# კაკას დაბრუნება და მორიგი განადგურება

**ბრაზილია-ერაყი 6:0**

**ბრაზილია:** დიეგო ალვეში – ადრიანო კორეია, დავიდ ლუისი, ტიაგო სილვა, მარსელო – რამირესი (სანდრო 81), პაულინიო (ფერნანდო), კაკა (ლუკას მოურა 72) – ოსკარი (ჟულიანო 82), ჰალკი (ტიაგო ნევეში 74) – ნეიმარი.

**გოლები:** 1:0 ოსკარი (22), 2:0 ოსკარი (27), კაკა (48), 4:0 ჰალკი (56), 5:0 ნეიმარი (75), 6:0 ლუკას მოურა (80).

**ბრაზილიის ეროვნული გუნდი, შვედეთის ქალაქ მალმიოში, ზიკოს განწრთნილ ერაყს შეხვდა და ისევე როგორც ჩინეთს, დიდი ანგარიშით მოუგო. "სელესაომ" ზაფხულში არგენტინასთან მარცხის შემდეგ (3:4), უკვე მეხუთე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ყველა მათგანში გაიმარჯვა.**

შვედეთში გამართული მატჩის მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, ეროვნულ ნაკრებში **კაკას** დაბრუნება იყო, რომელმაც არა მარტო გოლი გაიტანა, არამედ ერთი საგოლე პასიც მიითვალა. მადრიდის "რეალის" ფეხბურთელს ნაკრებში ბოლო მატჩი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰქონდა ჩატარებული.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა – **ნეიმარმა** ბურთი მოედნის ცენტრიდან წამოიღო და საგოლე პასი გაუკეთა **ოსკარს**, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა. პირველი გოლიდან 5 წუთში კი "არისტოკრატმა" მეორეც გაიტანა, საგოლე პასი კი ამჯერად კაკამ მიითვალა. ბევრი მომენტის და მცდელობის მიუხედავად, ბრაზილიელებმა პირველ ტაიმში მეტი ვერაფერი შეძლეს.

შეხვედრის 48-ე წუთზე ერაყელთა საჯარიმოში კაკა შეიჭრა, ცრუ მოძრაობით მეტოქე ჩამოიტოვა და შორეულ კუთხეში აუღებელი დაარტყა. 30 წლის ფეხბურთელს ნაკრებში ბოლო გოლი 2010 წლის 7 ივნისს, ტანზანიასთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა გატანილი. ამის შემდეგ "პენტაკამპეონებმა" კიდევ სამჯერ იხეირეს: 56-ე წუთზე **ჰალკმა**, 75-ეზე ნეიმარმა, ხოლო მე-80 წუთზე ცვლილებაზე გამოსულმა **ლუკას მოურამ** გამოიჩინეს თავი.

**მანო მენეზეშის** კრებულს კარგი ვარჯიში გამოუვიდა და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამხელა პოტენციალი აქვს ამ გუნდს, რომელსაც 2014 წლის მუნდიალზე მოუწევს თამაში და იქ მთავარი ფავორიტი იქნება. საქმე მხოლოდ მასპინძლობაში არ არის, ნეიმარის, ლუკას მოურას, ოსკარის, **ლეანდრო დამიაოს** (რომელსაც ერაყთან არ უთამაშია) და სხვების მსგავსი ნიჭიერი ფეხბურთელები ბევრ ნაკრებს ნამდვილად არ ჰყავს.

მენეზეშმა, თამაშის შემდეგ, მთელი გუნდი შეაქო, მაგრამ განსაკუთრებით ოსკარი და კაკა გამოარჩია: *"ოსკარი ახალგაზრდაა, მაგრამ ყოველდღე ვითარდება და იზრდება. ის ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მისი სათამაშო სტილი ზედმიწევნად შეესაბამება ჩვენი ნაკრების სტილს. ნაკრების ახალწვეულთაგან ყველაზე მეტად სწორედ მან მოუმატა, თუმცა მე ყველას გარჯით და თამაშით კმაყოფილი ვარ".*

*"კარგია, რომ ბრაზილია ისევ ათამაშდა და კაკა გუნდში უპრობლემოდ ჩაეწერა. ის პირველად თამაშობდა ამ ფეხბურთელებთან ერთად და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რისი გაუმჯობესება სჭირდება? ყველა შეხვედრაში ასე უნდა ითამაშოს"* – მიხვდით ალბათ, რომ ეს კაკაზე გამოთქმული მოსაზრებაა.

ზიკოს განწრთნილი გუნდის განადგურების შემდეგ, ბრაზილიას მომდევნო ამხანაგური მატჩი 16 ოქტომბერს, ზიკოს ყოფილ გუნდ, იაპონიის ნაკრებთან ელის.


კაკამ გაიტანა და ოსკარსაც გაატანინა

არგენტინა-ბრაზილია

## სუპერკლასიკო 21 ნოემბერს

გაირკვა "სუპერკლასიკო დას ამერიკას" საპასუხო მატჩის გამართვის თარიღი – არგენტინა და ბრაზილია ერთმანეთს 21 ნოემბერს, "ბომბონერაზე" შეხვდებიან. შეგახსენებთ, რომ ეს გახლავთ ორმატჩიანი ტურნირი, გუნდები კი მხოლოდ ადგილობრივ ჩემპიონატებში მოთამაშე ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებულნი. ეს შეხვედრა რესისტენსიაში "სენტენარიოზე" უნდა გამართულიყო, მაგრამ განათების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო მატჩი ჩაიშალა.

პირველი შეხვედრის შემდეგ უპირატესობას ბრაზილია ფლობს, "სელესაომ" **პაულინიოს** და **ნეიმარის** გოლების წყალობით 2:1 მოიგო.

ამბები

### გურკუფმა ივარჯიშა

"ლიონის" ერთ-ერთმა ლიდერმა **იოან გურკუფმა** პარასკევს გუნდის ბაზაზე ივარჯიშა, არადა თავიდან სამედიცინო შტაბი მის დაბრუნებას ორშაბათს ვარაუდობდა. 26 წლის ფრანგმა ტრავმა 18 აგვისტოს მიიღო და მას შემდეგ აღარ უთამაშია. მიუხედავად გამოჯანმრთელებისა, "ბორდოს" და "მილანის" ყოფილი ფეხბურთელი ნოემბრის დასაწყისამდე ვერ ითამაშებს და იქამდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება.

### ედგარ დავიდსი ბარნეტში

**ედგარ დავიდსი** ფეხბურთის თამაშს ისევ აპირებს. "იუვეს" და "ბარსას" ყოფილმა ფეხბურთელმა კონტრაქტი ინგლისის რიგით მეოთხე დივიზიონის (მეორე ლიგა) გუნდ "ბარნეტთან" გააფორმა. 39 წლის ჰოლანდიელი გუნდს **მარკ რობსონთან** ერთად გაწვრთნის და გარდა ამისა, ხანდახან მოედანზეც გავა. დავიდსის თქმით, ის მოთამაშე-მწვრთნელი იქნება. *"აქ ყოფნით ძალიან ბედნიერი ვარ, მიხარია, რომ მაქვს საშუალება ჩემი გამოცდილება "ბარნეტის" ფეხბურთელებს გავუზიარო და ამ საინტერესო პროექტში მივიღო მონაწილეობა"* – განაცხადა "პიტბულმა" პრესკონფერენციაზე.

კმაყოფილი იყო გუნდის თანამწვრთნელი მარკ რობსონიც: *"მიხარია, რომ ედგარი ჩვენთან არის. მისი მდიდარი კარიერა და გამოცდილება დამატებითი მოტივაცია იქნება "ბარნეტის" ფეხბურთელებისთვის".*

საფეხბურთო კლუბი "ბარნეტი" 1888 წელს არის დაარსებული და მიუხედავად ამხელა ისტორიისა, გუნდს სერიოზული ტიტული არ მოუგია. 11 ტურის შემდეგ "ბარნეტს" 3 ქულა აქვს (0 მოგება, 3 ფრე, 8 წაგება) და ბოლო, 24-ე პოზიციას იკავებს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

● მილანი

# როსონერის არაბული პერსპექტივა

## ბერლუსკონი მოლაპარაკებაში ჩაება


La Gazzetta dello Sport

Tutto il rosa della vita

ITALIA CERCASI

VINCERE IN ARMENIA PER RIPARTIRE

IN PRIMO PIANO SI TRATTA PER IL FUTURO ROSSONERO

MILAN D'ARABIA

Berlusconi vuole cedere il 30% della società rossonera per 250 milioni di euro. In pole position il Fondo Sovrano del Qatar con cui i contatti sono continui. Gli sceicchi sono interessati al club, allo stadio di proprietà e alla tv

L'INCONTRO CON GUARDIOLA

"გაძეტა დელლო სპორტი": სილვიო ბერლუსკონი არაბულ სამოსში

"გაძეტა დელლო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე დღის წინ, **სილვიო ბერლუსკონი** კატარელ მილიარდერს შეხვდა, რომელიც "მილანის" აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენითაა დაინტერესებული. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, დონ სილვიომ კლუბის მთლიანად დათმობაზე უარი განაცხადა და არაბ ბიზნესმენს აქციათა მხოლოდ 30% შესთავაზა. ბოლო ცნობების თანახმად, მხარეებს შორის სწორედ აქციათა რაოდენობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება, ფასი კი 250-დან 800 მილიონ ევრომდე მერყეობს. სილვიო ბერლუსკონის პირადად **ჰამად ბინ იასემ ბინ იაბრ ალ ტაჰ-თან** უწევს ურთიერთობა, რომელიც ალ ტაჰ-ების ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია - ეს ოჯახი კი ფრანგული პსჟ-ს მფლობელია.

ცნობილია ისიც, ფიფა/უეფას წესებით, არ შეიძლება რომ ორ კლუბს ერთი და იგივე პატრონი ჰყავდეს. თუმცა, ჯერ ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი და გამომდინარე აქედან, კანონთან შეუსაბამობაზე ლაპარაკი ადრეა - ჯერ უცნობია, გახდება თუ არა ალ ტაჰ-ების ოჯახი "მილანის" საკონტროლო პაკეტის მფლობელი და რომც გახდეს, გასარკვევია, ოფიციალურად რომელ კომპანიაზე გაფორმდება იტალიური კლუბი. თუ არაბები "მილანს" იმავე კომპანიაზე არ გააფორმებენ, რომელსაც პსჟ ეკუთვნის, იურიდიულად მათთან შედავება პრაქტიკულად წარმოუდგენელი იქნება. მოკლედ, ჩახლართული პროცესია და ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. უახლოეს დღეებში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

● პალერმო

# ძამპარინის არ დაეჯერება


მაურიციო ძამპარინი

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომლის თანახმადაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "პალერმოს" პრეზიდენტი 22 წლის თავდამსხმელის, **აბელ ერნანდესის** გასხვისებას შეეცდება. ამბობენ იმასაც, რომ ურუგვაელი ფორვარდის გადაბირება "ნაპოლის" სურს და მზადაა მასში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. ეს ამბავი სიცილიელთა პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას აღარ აპირებს. იტალიელმა ჟურნალისტებმა სენიორ მაურიციოს ზაფხულში გაკეთებული კომენტარი გაახსენეს - ბოლოს, სწორედ ამ კომენტარს გავეცნოთ და დავრწმუნდებით, რამდენად სანდოა მისი კატეგორიული ტონი:

*"გაოცებული ვარ, საიდან ვრცელდება ასეთი აბსურდული ინფორმაციები. არასდროს მითქვამს, რომ პასტორეს გასხვისებას ვაპირებ და თანაც 50 მილიონ ევროდ. ეტყობა, ვიღაცის ინტერესებში შედის ამ დეზინფორმაციის გავრცელება. სიმართლე კი რადიკალურად განსხვავებულია – 60 მილიონიც რომ მომცენ, ხავიერს არ გავყიდი, რადგან მისი თამაშისგან მიღებული სიამოვნება, შეუფასებელია. საერთოდ, ფეხბურთისგან ფულის კეთება ჩემი საქმე არაა, სპორტის უპირველეს სახეობაში იმიტომ ვარ, რომ ძალიან მიყვარს და მინდა, ჩემი ქალაქის გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოდეს".*

● ჯენოა

# პალასიო ჯენოას ბაზაზე შენიშნეს

## კასანო-მილიტომ როდრიგო შეავიწროვეს

ბოლო დროს, ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ დიდია შანსი, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 30 წლის **როდრიგო პალასიო** "ჯენოაში" დაბრუნდეს. ბრაზილიელის პოზიციები "ინტერში" შერყეულია, დღემდე გაურკვეველია რა თვალით უყურებს მას **ანდრეა სტრამაჩონი** და ეს ხმებიც ამად გავრცელდა. ცეცხლზე კი ნავთი პალასიოს "ჯენოას" ბაზაზე სტუმრობამ დაასხა, რაც, რა თქმა უნდა, იტალიელ ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას გენუური გუნდის გულშემატკივრები აღტაცებით შეხვდნენ, თუმცა **ლუიჯი დე კანიომ** მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა. მოვუსმინოთ "ჯენოას" მთავარ მწვრთნელს:

*"პალასიო მართლაც იყო ბაზაზე მოსული, მაგრამ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. არგენტინელმა წლების განმავლობაში იასპარეზა "ჯენოაში" და აქ უამრავი მეგობარი ჰყავს. მისი ნახვა ჩვენც ძალიან გაგვიხარდა – ბევრი ვისაუბრეთ, თუმცა გარწმუნებთ, მის შესაძლო დაბრუნებაზე ლაპარაკი არც კი ყოფილა. როდესაც ეს ხმები გავრცელდა, სპეციალურად დავუკავშირდი და სწორედ ამ თემაზე ჩამოვუგდე სიტყვა. მისი თქმით, დღეს მხოლოდ ტრავმის ბოლომდე მოშუშებასა და "ინტერში" თავის გამოჩენაზეა კონცენტრირებული. მითხრა, რომ "ჯენოაში" დაბრუნებასა და ზოგადად გუნდის გამოცვლაზე არც კი უფიქრია. ასე რომ, მოდით ნუ ავივსებით უსაფუძვლო ოპტიმიზმით და ჩვენს საქმეებს მივხედოთ. პალასიო "ჯენოას" ლიდერი იყო, მაგრამ მის გარეშეც შეგვიძლია მაღალი მიზნების მიღწევა".*

იტალიელი ჟურნალისტები არ ცხრებიან და მაინც ამტკიცებენ, რომ ზამთარში პალასიოს გენუაში დაბრუნების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ფაქტია, "ინტერში **კასანო-მილიტოს** ტანდემზე გააკეთეს აქცენტი, რამაც, დიდია შანსი, პალასიოს არსებული რეალობის შეცვლისკენ უბიძგოს.


როდრიგო პალასიო "ჯენოას" ლიდერი იყო

● მოსაზრება

# სნეიდერი: იუვე ინტერზე ძლიერია

## მიზანი სკუდეტო, პროგრამა მინიმუმი - ლიგის საგზური

მილანის "ინტერის" ერთ-ერთი ლიდერი, 28 წლის **ვესლი სნეიდერი** მიიჩნევს, რომ იტალიურ კლუბებს შორის საუკეთესო "იუვენტუსია". თუმცა, მიუხედავად ამისა, მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და იმედოვნებს, რომ მისი გუნდი ძლიერ მეტოქეს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს:

*"უნდა ვაღიარო, რომ "იუვენტუსი" უფრო ძლიერია და მასთან კონკურენციის გაწევა ურთულესი იქნება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ტურინელებს ბრძოლის ისეთი ჟინი აღარ აქვთ, როგორც გასულ სეზონში და შესაბამისად, მათთან ჩამორჩენას მალე აღმოვფხვრით. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, წუნი ჯერ კიდევ ბევრია და აშკარაა, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორს ვართ. მთავარია, რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ ხარვეზები და ამ რთულ პერიოდში დაუგეგმავი ქულები არ დავკარგოთ. ანდრეა სტრამაჩონიმ იცის რასაც აკეთებს და ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გვეუბნებოდა, რომ სტარტი რთული იქნებოდა".*

სნეიდერმა საამსეზონო მიზნებზე ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *"ზემოთ "იუვენტუსთან" კონკურენციაზე ვისაუბრე, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან გვინდა სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ჩვენ "ინტერის" ღირსებას ვიცავთ. თუმცა, თუ სამეულში მოვხვდით და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, ვფიქრობ, რომ სეზონი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში დაბრუნება იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მომავალ ზაფხულს მსოფლიო დონის ვარსკვლავები მოვიზიდოთ. ასე რომ, პროგრამა მინიმუმი სწორედ ლიგის ზონაში მოხვედრაა".*


ვესლი სნეიდერი

● უდინეზე

# გვიდოლინის ოპტიმიზმი

## ფრიულელები ისევ სამეულს უმიზნებენ

იტალიური პრესა ტურიდან ტურამდე ელოდება იმას, რომ **ფრანჩესკო გვიდოლინს** "უდინეზეს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლებენ. არა იმიტომ, რომ იტალიელ ჟურნალისტებს 57 წლის სპეციალისტი გულზე არ ეხატებათ, უბრალოდ "ბიანკონერის" შედეგები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად ამისა, გვიდოლინი დანებებას არ აპირებს და როგორც აცხადებს, თანამდებობას თავისი სურვილით არც ერთ შემთხვევაში არ დატოვებს:


ფრანჩესკო გვიდოლინი

*"დიახ, მეც ვფიქრობდი, რომ გაცილებით უკეთესი სტარტი გვექნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. მთავარია, რომ დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობ და დარწმუნებული ვარ, ეს შედეგს მალე გამოიღებს. მიხარია, რომ ფეხბურთელები ყოველმხრივ ჩემს გვერდით არიან და ცდილობენ, რომ კრიზისი ერთად დავძლიოთ. მართალია, ანტონიო დი ნატალესთან პატარა გაუგებრობა მქონდა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი დალაგდა. მხარდაჭერას კლუბის მესვეურებისგანაც ვგრძნობ, რაც დიდ სტიმულს მაძლევს. საკადრო პრობლემები? – შეტევაში გვიჭირს, ამაში ორი აზრი არ არის და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გაძლიერებას შევეცდებით. სამწუხაროა, რომ ლუის მურიელმა ტრავმა მიიღო – მისი სახით დიდი ძალა გამოგვაკლდა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, მალე უნდა შემოგვიერთდეს. დარწმუნებული ვარ, კოლუმბიელი რომ მწყობრში ყოფილიყო, დღეს გაცილებით მეტი ქულა გვექნებოდა. მიზანი? – ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა. დღეს ეს შეიძლება ბევრს უტოპიად მიაჩნია, მაგრამ ვეცდებით, რომ სკეპტიკოსები კიდევ ერთხელ გავაჩუმოთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● ლაციო

# ახალი კონტრაქტი მაურის


სტეფანო მაური

იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ლაციოს" მესვეურებმა **სტეფანო მაურისთან** ხელშეკრულების გახანგრძლივება გადაწყვიტეს და სულ მალე, 32 წლის ნახევარმცველს ახალ პირობებსაც წარუდგენენ. სტეფანოს კონტრაქტს მომავალ ზაფხულს გადის ვადა და რომაელთა სურვილია, რომ ის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდეს. ანუ, თუ შეთანხმება შედგა, მაური "ლაციოში" 2014 წლის ზაფხულამდე დარჩება. შეთანხმებას კი წინ პრაქტიკულად არაფერი უდგას:

*"რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, აქ ბედნიერი ვარ და არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ სხვაგან გადავბარგდე. მინდა კარიერა სწორედ "ლაციოში" დავასრულო და ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ალბათ ასეც იქნება. შესაბამისად, ძალიან გამახარა ცნობამ იმის შესახებ, რომ კლუბის მესვეურები ჩემთვის ახალ ხელშეკრულებას ამზადებენ. პირობები? – სიმართლე გითხრათ, არ ვიცი რა პირობებს შემომთავაზებენ, მაგრამ გავრისკავ და ვიტყვი, რომ ამაზე არ ვნერვიულობ. დარწმუნებული ვარ, შეთანხმების მიღწევა არ გაგვიჭირდება".*

**მარკო ვერატი** იტალიური ფეხბურთის უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. მეტიც: მას უკვე ანდრეა პირლოს ლეგიტიმურ შემცვლელად მოიხსენიებენ, რითაც ბევრი რამ არის ნათქვამი. მოაზროვნე საყრდენი ნახევარმცველი საფეხბურთო ევროპას მოულოდნელად მოევლინა: „პესკარადან“ პირდაპირ პარი სენ-ჟერმენში მოხვდა, სადაც კარლო ანჩელოტი არა მარტო მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს, არამედ პსჟ-ს გიგანტური პროექტის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად მიიჩნევს.




# პესკარელი პირლო

მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში **მარკო ვერატიზე** ალმატებით ფორმაში საუბრები გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე დაიწყო, პარიზში მისი პრეზენტაცია პომპეზური არ იყო, რაც ერთი მხრივ ზემოთქმულის, მეორე მხრივ კი იმის ბრალია, რომ სწორედ ვერატის პრეზენტაციის დღეს გადაწყდა, პარიზელები **ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც** რომ გადაიბირებდნენ. შესაბამისად, 19 წლის მარკოს პსჟ-ში გამოჩენა იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერის ჩრდილში მოექცა. თუმცა პრეზენტაციაზე ვერატიმ მაინც მოასწრო რამდენიმე ბანალურ კითხვაზე ბანალური პასუხის გაცემა, მაგრამ მოხვდა თუ არა მისი განცხადებები ფრანგულ პრესაში სრულად, ამ კითხვას პასუხს თავადაც გასცემთ - იმ დღეს საფეხბურთო საფრანგეთი ხომ იბრაჰიმოვიჩის პსჟ-ში გადაბარგებაზე ბჭობდა.

## პარიზი პირველი არჩევანი იყო

შეიხთა ფულებით განებივრებულმა პარიზელებმა ტრანსფერებში ბევრი ფული დახარჯეს, თუმცა იბრაჰიმოვიჩში (23 მილიონი ევრო), **ესეკიელ ლავეციში** (26 მილიონი), **ტიაგო სილვასა** (42 მილიონი) და **ლუკას მოურაში** (40 მილიონი) გადახდილ თანხებს შორის, მარკო ვერატიში „პესკარასთვის“ სამადლოდ გადაგდებული 12 მილიონი მოკრძალებულ თანხად მოჩანს და ლოგიკურად იმის მაუწყებელია, რომ იტალიელ ნახევარმცველს პსჟ-ში მეორეხარისხოვანი როლი უნდა ეთამაშა, მაგრამ **კარლო ანჩელოტიმ** პირველივე შესაძლებლობისას თქვა, მარკოს პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს გმირად განვიხილავო.

თავად ვერატი კი თავმდაბალი ტიპი ჩანს და ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ უთქვამს ისეთი რამ, რაც გვათქმევინებდა, რომ ცხვირი ასწია. *„ჩემთვის ისიც კი უდიდესი პატივია, რომ ასეთ ფეხბურთელებთან ერთად ვვარჯიშობ. რამდენიმე თვის წინ ამ ბიჭებს ტელევიზორში ვუყურებდი და მათ მიერ დადგმული საფეხბურთო წარმოდგენებით ვტკბებოდი, ახლა კი მოედანზე მათთან ერთად გავდივარ და დიდ გუნდში დიდ ფეხბურთს ვთამაშობ. თანაც, ყოველდღე ხომ არ ხდება ისეთი რამ, რაც მე გადამხდა,* - აცხადებს ვერატი და დასძენს, - *დასამალი არაფერია, მართლაც ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ პსჟ პირველი არჩევანი იყო, რადგან ეს მართლაც შთამბეჭდავი პროექტია.“*

> „ვაღიარებ, რომ პირლოს ვბაძავდი და ახლაც ვბაძავ. მეტიც: მის თამაშებს სპეციალურად, განმეორებით ვუყურებდი ხოლმე, რათა მოედანზე ჩემი როლი უკეთესად შემეცნო“

## დებიუტი 16 წლის ასაკში

როგორც ზემოთაც ვთქვით, ვერატი ახლახან გამოჩნდა დიდ ასპარეზზე და პსჟ-შიც იმდენად სწრაფად გადავიდა, რომ მისი სახელის გაგება ევროპაში ფეხბურთის ბევრმა მოყვარულმა ვერ მოასწრო. „პესკარაში“, სადაც პროფესიულ დონეზე დებიუტი 16 წლის ასაკში ჰქონდა, წინა სეზონში ბრწყინვალედ იასპარეზა და იმდენი მოახერხა, რომ ზაფხულში მისით უკვე „მანჩესტერ სიტი“ და „იუვენტუსი“ დაინტერესდნენ. ამას წინ უძღოდა იტალიის ნაკრების გაფართოებულ სიაში შეყვანა და მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ვერატი ევროპის ჩემპიონატზე წასვლას იმსახურებდა.

თუმცა „სკუადრა აძურას“ თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** მარკოს დიდ სანაკრებო ტურნირზე წაყვანა ნაადრევად მიიჩნია და ამომავალი ვარსკვლავი, რომელმაც სერია B-ში **ლორენცო ინსინიესთან** და **ჩირო იმობილესთან** ერთად „იფრინა“, ევრო 2012-ის განაცხადს მიღმა დატოვა. ამ ტრიუმვირატმა წინა სეზონში, „პესკარას“ მიერ ოფიციალურ მატჩებში გატანილი 90 გოლიდან 76-ში მიიღო მონაწილეობა. მართალია, ვერატიმ 31 მატჩში მხოლოდ 9 საგოლე პასი გააკეთა, მაგრამ ამ გუნდის უმთავრესი სტრატეგი გახლდათ. სწორედ ამიტომ არ დაუწყო ყურება ანჩელოტიმ მხოლოდ სტატისტიკას და შეფებს მარკოს პარიზში გადაყვანა კატეგორიულად მოსთხოვა. როგორც ჩანს, „იუვენტუსისა“ და „სიტის“ დაინტერესება არ იყო სერიოზული, ან ტურინული და მანჩესტერული გრანდების თავკაცები **ანტონიო კონტე** და **რობერტო მანჩინი** მარკოს ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არ აძლევდნენ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დღეს ვერატი პსჟ-ს ფეხბურთელია.

## თანამედროვე „რეჯისტა“

იტალიელი ექსპერტების აზრით, ვერატის პროგრესში უდიდესი როლი ითამაშა „პესკარას“ ყოფილმა თავკაცმა **ზდენეკ ზემანმა** და კერძოდ იმით, რომ გუნდს 4-3-3 ტაქტიკური სქემით ათამაშებდა. სწორედ ზემანმა შეუცვალა მარკოს პოზიცია და გამთამაშებლის ადგილიდან კრეატიული, მოაზროვნე საყრდენის პოზიციაზე გადასწია, რადგან მიაჩნდა, რომ ვერატის სიღრმიდან გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო. სხვათა შორის, კარიერა **ანდრეა პირლომაც** ტიპური პლეიმეიქერის პოზიაზე დაიწყო და „ათიანის“ რანგში ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებოდა, მაგრამ იდეალურად სწორედ მას მერე გაიხსნა, რაც უფრო უკან დახიეს და მას დღეს ყველა ისე იცნობს, როგორც საყრდენ ნახევარმცველს.

მოედნის გრანდიოზული ხედვა, ზუსტი და ჭკვიანური პასები, კარგი ტექნიკა და სტანდარტული მდგომარეობების შესრულების უნარი - ვერატის შესაძლებლობებზე, მის მთავარ პლუსებზე ვსაუბრობთ. ეს კარგი გამთამაშებლისთვის დამახასიათებელი უნარებია, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში კლასიკური „ათიანებმა“ სწორედ იმ პოზიციაზე გადაინაცვლეს, რომელზეც ვერატი თამაშობს - უკან, კლასიკური „ექვსიანის“ გვერდით და ბურთების განაწილება სიღრმიდან ევალებათ. იტალიაში ასეთ ფეხბურთელს „რეჯისტას“ უწოდებენ და ამ სიტყვის მნიშვნელობას იმედია, ხვდებით. ვერატიმ კი, ყველა სიკეთესთან ერთად, უკვე პსჟ-შიც არაერთხელ დაამტკიცა, რომ დაცვისთვის მიხმარება და მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლაც ეხერხება: მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლეში მხოლოდ 1.65 მეტრია და ოდენ 60 კილოგრამს იწონის, მარკოს თამაშის დროს არც აგრესია აკლია და ახლა უკვე დიდ სცენაზე ამტკიცებს, რომ ბებერ ზემანს ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის პოზიციის შერჩევის უტყუარი ალღო აქვს - ვერატი ერთდროულად კრეატიული საყრდენიცაა და კლასიკური ჩამშლელიც.

ადვილი არ არის, 19 წლის ასაკში გახდე თუნდაც „პესკარას“ დონის კლუბის მთავარი სტრატეგი, რომელიც უკანა და წინა ხაზებს შორის ბალანსსა და კავშირს უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას პესკარელ პირლოს, რაც, დაგვეთანხმებით, მარკოზე უდიდესი ავანსის გაცემას ნიშნავს.

## მისაბაძი მაგალითი: პირლო

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერატის სწორედ პირლოსთან შედარებამ და მისთვის მიმსგავსებამ უფრო გაუთქვა სახელი, ვიდრე სერია B-ში ჩამორიგებულმა პასებმა.

*„ვერატი საუცხოო რეჟისორია და მართლა ძალიან მაგონებს პირლოს. მარკო ანდრეასავით იდეალურად კითხულობს როგორც თანაგუნდელების, ისე მეტოქის იერიშებს და ფეხბურთს იმ სიმსუბუქით თამაშობს, რომელიც ასე ძლიერ სჭირდება კრეატიულ საყრდენ ნახევარმცველს,“* - აცხადებს ანჩელოტი.

*„პირლოსთან შედარება ჩემთვის უდიდესი პატივია, რადგან ანდრეა ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელი, ჩემთვის მისაბაძი მაგალითი და არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველია. ვაღიარებ, რომ პირლოს ვბაძავდი და ვბაძავ. მეტიც: მის თამაშებს სპეციალურად, განმეორებით ვუყურებდი ხოლმე, რათა მოედანზე ჩემი როლი უკეთესად შემეცნო. ახლა, როცა პირლოს მამსგავსებენ, ვხვდები, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია იტალიური ფეხბურთის წინაშე და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მოლოდინი გავამართლო,“* - ეს თავად ვერატის სიტყვებია.

## პრანდელი ნანობს

მოლოდინის გამართლებისკენ ვერატიმ მორიგი ნაბიჯი 15 აგვისტოს გადადგა, როცა 19 წლის ასაკში იტალიის ეროვნული ნაკრების ფორმა პირველად მოირგო. თუკი ევროპის ჩემპიონატის წინ „აძურის“ თავკაცმა პრანდელიმ მასზე მაინც უარი თქვა, რაც ნამდვილად არ იყო გასაკვირი იმის გამო, რომ იტალიის ნაკრებს **დანიელე დე როსი, რიკარდო მონტოლივო, ტიაგო მოტა, კლაუდიო მარკიზიო** და იგივე პირლო ჰყავს, ევრო 2012-ის შემდეგ ჩეზარე მარკოს თავისი გუნდის მნიშვნელოვან ფიგურად მიიჩნევს.

ამასთან, პრანდელი ძალიან ნანობს იმას, რომ ვერატი იტალიაში არ დარჩა და კარიერას საფრანგეთის ჩემპიონატში აგრძელებს - იტალიურ გრანდებს ეს უნიჭიერესი ნახევარმცველი სხვა ქვეყანაში არ უნდა გაეშვათ, „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“ და „ნაპოლი“ ამას არაერთხელ ინანებენო.

*„ამას პირველ რიგში იმიტომ ვამბობ, რომ იტალიური საკლუბო ფეხბურთის ბედი მაღელვებს, თორემ საფრანგეთის ჩემპიონატის დონეს ახლა უკვე მართლა ალარაფერი დაეწუნება,“* - აცხადებს პრანდელი.

## მოვა დრო და...

ფაქტია, რომ პსჟ-ს პრეზიდენტი და მფლობელი **ნასერ ალ ხელაიფი** იბრაჰიმოვიჩის გოლებს ვერატის პასებზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ხელაიფი ვერ ერკვევა ფეხბურთში ისე ძირფესვიანად, როგორც ანჩელოტი და პსჟ-ს სპორტული დირექტორი **ლეონარდო**, რომელიც ამბობს, მოვა დრო და ყველა მიხვდება, რომ მარკო ვერატი გუნდისთვის ბევრ სხვა ფეხბურთელზე მნიშვნელოვანი ფიგურაა და რომ ჩვენი გუნდისთვის, საფეხბურთო თვალსაზრისით, მისი ტრანსფერი ყველა სხვა გარიგებაზე სარფიანი იყოო.

ლეონარდო: *„ვერატიზე უდიდეს იმედებს ვამყარებ. ჩვენ მის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გადავიხადეთ და ვთქვით, რომ უკვე ახლო მომავალში ნესი სახით გვეყოლება მოთამაშე, რომელზეც მთელი მსოფლიო ალმატებით ფორმაში ილაპარაკებს. ნასერს მესის დონის მოთამაშე სურდა, მაგრამ ლეოს დარი ფეხბურთელის პოვნა შეუძლებელია. შესაბამისად, ის ძალიან კმაყოფილია იმითაც, რომ პირლოს დონის მოთამაშე სულ რაღაც 12 მილიონად ვიყიდეთ. აი, ნახავთ, გავა ათი წელი და ვერატის კი არ დაუძახებენ ახალ პირლოს, არამედ პირიქით - პირლოს დაუძახებენ ძველ ვერატის!“*

**გოტფრიდ ლენცი**



## ბრაზილია 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა. III ტური


ირლანდია-გერმანია

### A ჯგუფი

**მაკედონია-ხორვატია 1:2**

**გოლები:** 1:0 იბრაიმი (16), 1:1 ჩორლუკა (33), 1:2 რაკიტიჩი (60)

**სერბეთი-ბელგია 0:3**

**გოლები:** 0:1 ბენტეკე (34), 0:2 დე ბრუინი (68), 0:3 მირალიაში (90)

**უელსი-შოტლანდია 2:1**

**გოლები:** 0:1 მორისონი (27), 1:1 ბეილი (81-პენ), 2:1 ბეილი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 3. სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 4. შოტლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 5. უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-9 | 3 |
| 6. მაკედონია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

### B ჯგუფი

**სომხეთი-იტალია 1:3**

**იტალია:** ბუფონი – მაჯო, ბარძალი, ბონუჩი, კრიშიტო – დე როსი, პირლო (74. ჯაკერინი), მარკიზიო – მონტოლივო (87. კანდრევა) – ოსვალდო, ჯოვინკო (60. ელ შაარავი).

**გოლები:** 0:1 პირლო (11-პენ), 1:1 მხითარიანი (27), 1:2 დე როსი (64), 1:3 ოსვალდო (82)

**ჩეხეთი-მალტა 3:1**

**გოლები:** 1:0 გებრე სელასიე (34), 1:1 ბრიფა (38), 2:1 პეხარტი (52), 3:1 რეზეკი (67)

**ბულგარეთი-დანია 1:1**

**გოლები:** 1:0 რანგელოვი (7), 1:1 ბენდტნერი (40)

**გაძევება:** ბანდალოვსკი (26. ბულგარეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. სომხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 5. დანია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

### C ჯგუფი

**ფარერები-შვედეთი 1:2**

**გოლები:** 1:0 ბალდვინსონი (57), 1:1 კაჩანიკლიჩი (63), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (74)

**ყაზახეთი-ავსტრია 0:0**

**ირლანდია-გერმანია 1:6**

**გერმანია:** ნოიერი – ბოატენგი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი, შმელცერი – ხედირა (46. კროოსი), შვაინშტაიგერი – მიულერი, იოზილი, როისი (66. პოდოლსკი) – კლოზე (72. შიურლე).

**გოლები:** 0:1 როისი (32), 0:2 როისი (40), 0:3 იოზილი (55-პენ), 0:4 კლოზე (58), 0:5 კროოსი (61), 0:6 კროოსი (83), 1:6 კიოუ (91)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| 4. ავსტრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. ყაზახეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 6. ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### D ჯგუფი

**თურქეთი-რუმინეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 გროზავი (45)

**ესტონეთი-უნგრეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჰაინალი (47)

**ჰოლანდია-ანდორა 3:0**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი – იანმაატი, ჰეიტინგა, ვლაარი, ინდი – ნ. დე იონგი, ვან დერ ვაარტი (71. აფელაი), სტროოტმანი (75. ემანუელსონი) – შაკენი, ჰუნტელაარი, ლენსი (71. კუიტი).

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (7), 2:0 ჰუნტელაარი (15), 3:0 შაკენი (50)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 3. უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 4. თურქეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 5. ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |
| 6. ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-12 | 0 |

### E ჯგუფი

**ალბანეთი-ისლანდია 1:2**

**გოლები:** 0:1 ბიარნასონი (19), 1:1 კანი (29), 1:2 სიგურდსონი (81)

**შვეიცარია-ნორვეგია 1:1**

**გოლები:** 1:0 გავრანოვიჩი (79), 1:1 ჰანგელანდი (81)

**სლოვენია-კვიპროსი 2:1**

**გოლები:** 1:0 მატავჟი (38), 2:0 მატავჟი (62), 2:1 ალონეფტისი (83)

**გაძევება:** სესარი (89. სლოვენია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ისლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 4. ალბანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 5. სლოვენია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 6. კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |

### F ჯგუფი

**რუსეთი-პორტუგალია 1:0**

**პორტუგალია:** პატრისიო - ჟ. პერეირა, პეპე, ბ. ალვეში, ფ. კოენტრაო (20. მ. ლოპეში) - რუბენ მიკაელი (67. ვარელა), ველოზო, მოუტინიო - ნანი, პოშტიგა (74. ედერი), რონალდო.

**გოლი:** 1:0 კერჟაკოვი (6)

**ლუქსემბურგი-ისრაელი 0:8**

**გოლები:** 0:1 რადი (4), 0:2 ბენ ბასატი (12), 0:3 ჰემედი (27), 0:4 მელიკსონი (61), 0:5 ჰემედი (74), 0:6 ჰემედი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 5. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 6. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |

### G ჯგუფი

**ლიხტენშტაინი-ლიტვა 0:2**

**გოლები:** 0:1 ე. ჩესნაუსკისი (51), 0:2 ე. ჩესნაუსკისი (75)

**სლოვაკეთი-ლატვია 2:1**

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (5-პენ), 2:0 საპარა (9), 2:1 ვერპაკოვსკისი (84-პენ)

**საბერძნეთი-ბოსნია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 3 | 2 | 1 | 0 | 12-2 | 7 |
| 2. სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 5. ლატვია | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |
| 6. ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |

### H ჯგუფი

**მოლდოვა-უკრაინა 0:0**

**ინგლისი-სან მარინო 5:0**

**ინგლისი:** ჰარტი – უოლკერი, კეჰილი, ჯეგიელკა, ბეინესი – უოლკოტი (10. ლენონი), კლევერლი, კერიკი (66. შელვი), ოქსლეიდ-ჩემბერლენი – რუნი (73. კეროლი) – უელბეკი.

**გოლები:** 1:0 რუნი (35-პენ), 2:0 უელბეკი (37), 3:0 რუნი (70), 4:0 უელბეკი (72), 5:0 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (77)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-1 | 7 |
| 2. ჩერნოგორია | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| 3. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. უკრაინა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 5. მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |
| 6. სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-11 | 0 |


ინგლისი-სან მარინო. უოლკოტის ტრავმა

## U 21. პლეი ოფი. ესპანეთის ნაკრები

# ესპანეთი ფაქტობრივად ალთქმულ მიწაზეა...
## ... ჰოლანდიაც იქაა

**გაისად ისრაელი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ დღეებში ირკვევა მასპინძელთა გუნდთან ერთად, რომელი 7 ნაკრები იასპარეზებს ალთქმულ მიწაზე - პლეი ოფების დროა. გუშინ და გუშინწინ პლეი ოფების პირველი მატჩები გაიმართა და ბევრი რამ თითქმის გაირკვა.**

**ესპანეთი-დანია 5:0**

**ესპანეთი:** დე ხეა - მონტოია, ინიგო მარტინესი, ბარტრა, პლანიასი - რომეუ, ილარამენდი, ისკო, მუნიაინი (84. დეულოფეუ) - როდრიგო (75. ა. ვასკესი), ტელიო (62. სარაბია).

**გოლები:** 1:0 როდრიგო (16), 2:0 როდრიგო (18), 3:0 როდრიგო (21), 4:0 როდრიგო (66), 5:0 ისკო (79-პენ)

**ხულიენ ლოპეტეგის** ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები ცალი ფეხით ევროპის ჩემპიონატზეა, მას მერე, რაც „როხიტამ“ ბურგოსში 5:0 დაამარცხა დანიის ნაკრები. ეს საღამო კარიერის ბოლომდე ემახსოვრება ბრაზილიური წარმოშობის 21 წლის შემტევ **როდრიგოს**, ლისაბონის „ბენფიკას“ წევრმა ამ შეხვედრაში პოკერი შეასრულა.


პოკერის ავტორი როდრიგო

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრები კონტინენტის მოქმედი ჩემპიონია და მას ისრაელში ტიტულის დაცვა მოუწევს. ამ თამაშამდე ორივე გუნდი დაუმარცხებელი მივიდა. ბურგოსში წვიმდა და თავიდან დანიამ ურიგოდ არ დაიწყო, მაგრამ ანგარიში როდრიგომ გახსნა - მე-16 წუთზე მარცხნიდან **კრისტიან ტელიომ** ჩააწოდა, როდრიგომ ბურთი მკერდით გაიჩერა და **ფრედერიკ რიონოვის** კარში გაიტანა. ამის შემდეგ 41 წლის **მორტენ ვიეგჰორსტის**, რომელსაც თავის დროზე გლაზგოს „სელტიკში“ უთამაშია, გუნდი ნაწილებად დაიშალა. მალე მალაგელმა **ისკომ** როდრიგო მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, რომელმაც რიონოვი მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში გაიტანა. მანვე 21-ე წუთზე ჰეთთრიკი გაიფორმა, ასისტენტობა ამჯერად **იკერ მუნიაინმა** ითავა, რომელსაც ახალგაზრდულში დასაბრუნებლად ბოდიშის მოხდამ მოუწია მოედანზე ხშირი, უდისციპლინო საქციელების გამო. 66-ე წუთზე ამავე წყვილმა ესპანელთა მე-4 გოლი შვა, დანიელთა წვალებას კი წერტილი ისკომ დაუსვა - „მალაგას“ შემტევი ნახევარმცველი საჯარიმოში **მათიას იორგენსენმა** წააქცია.

როდრიგო მორენო მაშადო რიო დე ჟანეიროში დაიბადა. ბავშვობაში „ფლამენგოს“ საფეხბურთო სკოლაში დადიოდა. 14 წლის ასაკში როდრიგო ესპანეთში, კერძოდ, გალისიაში გადავიდა, ვიგოს „სელტას“ ბავშვთა გუნდში. 18 წლის ასაკში ფეხბურთელი „რეალის“ სკაუტებმა შეამჩნიეს, მაგრამ „სამეფო კლუბში“ დიდხანს არ გაჩერებულა, 2010 წელს „ბენფიკამ“ 19 წლის ბიჭი 6 მილიონ ევროდ იყიდა. პორტუგალიის წლევანდელ ჩემპიონატში როდრიგოს უკვე 4 გოლი აქვს გატანილი. ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი მან 7 გოლით დაასრულა (აქედან ორი ქუთაისში, ქართველთა კარში გაიტანა).

**სლოვაკეთი-ჰოლანდია 0:2**

**ჰოლანდია:** ზოეტი - ლეერდამი, ბლინდი, ნუიტინკი (85. დიკსი), ბრუმა - კლასი, მაერი, ვან ხინკელი - ვინალდუმი, ლ. დე იონგი, ვილდსხუტი (74. კაბრალი)

**გოლები:** 0:1 ვან ხინკელი (55), 0:2 ვან ხინკელი (82)

ისრაელშია ფაქტობრივად ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრებიც ანუ „იონგ ორანიე“. სლოვაკეთში მატჩის ბედი მეორე ტაიმში გადაწყდა, როცა 19 წლის **მარკო ვან ხინკელმა** დუბლი შეასრულა. ვან ხინკელი „ვიტესის“ ნახევარმცველია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



## ქართული სპორტი

### ყინულის ჰოკეი

# აბუ დაბიში მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის




**შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული სპორტის ისტორიაში პირველად ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ყინულის ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებენ.**

გუშინ საქართველოს ნაკრები (**კახა ამბროლავა, ალექსანდრე ვაშაკიძე, ილია დავიდოვი, მიხეილ ვედიაპინი, მიხეილ დავითაშვილი** (კაპიტანი), **გიორგი და გოჩა ჯეირანაშვილები, პაატა კავკასიძე, გუგა არჩვაძე, გია ოჰანესიანი, გიორგი გიგაური, ამირან გეფერიძე, ირაკლი ნატროშვილი, გიორგი გოგოლაძე,** მთავარი მწვრთნელი — უკრაინელი **ევგენი ალიპოვი**) აბუ დაბიში გაფრინდა, სადაც 14-17 ოქტომბერს საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართება. მასპინძლებთან ერთად ქართველი, მონგოლი და ბერძენი ჰოკეისტები მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონის ორი საგზურისთვის იბრძოლებენ.

— ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია 77 ქვეყანას აერთიანებს, მაგრამ სხვადასხვა დივიზიონში მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოსვლის უფლება მხოლოდ 47 ქვეყანას ჰქონდა. — გვითხრა ყინულის ჰოკეის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ნუგზარ პაიკიძემ**. — დანარჩენი ოცდაათიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველო ერთადერთია, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე სასაპარეზოდ დაუშვეს. ამგვარი გამონაკლისი პირადი კონტაქტებისა და ჩვენთან ყინულის ჰოკეის განვითარების საფუძველზე გახდა შესაძლებელი. მეტიც: გვინდოდა, საკვალიფიკაციო ეტაპისთვის გვემასპინძლა, რაც დიდ სირთულეებთან არ იქნებოდა დაკავშირებული. პირადი საქმეების გამო მეტწილად უკრაინასა და რუსეთში მყოფს პრესა-ტელევიზიით მესმოდა, რომ ბათუმში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ყინულის სტადიონიაო. კიდევ კარგი, რომ მასპინძლობაზე საერთაშორისო ფედერაციაში განაცხადი არ შევიტანეთ, თორემ შევრცხვებოდით. ჩვენი ფედერაციის წარმომადგენელი ჩავიდა აჭარის დედაქალაქში, სადაც სრულიად საპირისპირო სურათი დახვდა.

**— საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სად მოემზადეთ?**

— საერთო ფიზიკური წვრთნა თბილისში გავიარეთ. ყინულზე გადანაცვლება რომ გადავწყვიტეთ, ბათუმში სწორედ მაშინ დაიწყეს ეგრეთ წოდებული ყინულის სასახლის დემონტაჟი. რაღა უნდა გვექნა. ისევ დედაქალაქში დავყავით ორი კვირა. კიდევ კარგი, რომ თურქი კოლეგები დაგვიდგნენ გვერდით: ჩვენთვის ხელსაყრელი პირობებით ერზერუმში მიგვიწვიეს. შესანიშნავი ყინულის სასახლე აქვთ ორი მოედნით. 18-დღიანი შეკრება მოვაწყვეთ დღეში ორჯერადი ვარჯიშებით. მასპინძლებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში გამოდიან, 16-ჯერ შევხვდით. ამ სპარინგებში ჩვენი ბიჭები ისე გაიწაფნენ, რომ ზედიზედ ბოლო სამი შეხვედრა დიდი ანგარიშებით მოუგეს თურქებს, მათ შორის ერთ-ერთი 14:0. გულდასაწყვეტი ის არის, რომ საერთაშორისო ფედერაციამ ბოლო მომენტში საქართველოს ნაკრების ექვს წევრს საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოსვლის უფლება არ მისცა: კონსტანტინე სანიკიძეს, რომელიც ჩვენი პირველი მეკარეა, და ირაკლი დავითაიას ორმაგი მოქალაქეობა აქვთ და ამან შეუშალა ხელი, ხოლო სანკტ-პეტერბურგიდან დამატებულ ახალგაზრდა მოთამაშეებს — ვიტალი დუმბაძეს, ბორის კოჭკინს, ანდრეი ილენკოს და დიმიტრი სმეტანინს მოქალაქეობის ვადა არ ეყოთ. დანაკლისის მიუხედავად, არაფერს დავთმობთ — პირიქით, მესამე დივიზიონის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას შევეცდებით. საგაისოდ კი ჩემ მიერ ნახსენები ჰოკეისტებიც შეუერთდებიან ნაკრებს და ბევრად ძლიერი გუნდი გვეყოლება. ამ ეტაპზე იმით ვარ ბედნიერი, რომ აბუ დაბიში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების გვერდით ჩვენი ხუთჯვრიანი დროშაც აფრიალდება და საქართველოს ჰიმნიც აჟღერდება. მესამე დივიზიონის საგზურიც თუ მოვიპოვეთ, იმედია, ახალი მთავრობა სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ყინულის ჰოკეისაც მოხედავს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

### ძიუდო. აბუ დაბის ტურნირი

# ჯავახაძის მარცხიანი დებიუტი

**წარუმატებლად დაასრულა გამოსვლა შოთა ჯავახაძემ (81) აბუ დაბის „დიდ პრიზზე" - დებიუტანტმა სასტარტო შეხვედრა ვერ დასძლია იმის მიუხედავად, რომ უტიტულო მეტოქე ჰყავდა — ბრაზილიელი ვიქტორ პენალბერი. ჩვენებურმა მხოლოდ შეხვედრის შუაწელამდე დაიცვა თავი, მერე კი სამხრეთამერიკელმა იპონი მიითვალა.**

ამდენად, აბუ დაბის „დიდ პრიზზე" ჯერ ისევ **ამირან პაპინაშვილის** (66) მიერ მოპოვებული ერთი ვერცხლის ამარა ვრჩებით, თუმცა დღეს კიდევ ორი ჩვენებური იჭიდავებს და ვნახოთ, იქნებ მეტსაც გამოვკრათ ხელი. 90 კილოგრამში **მინდია გოგოჭური** თავდაპირველად პორტუგალიელ **რიკარდო ლოუროს** დაეჭიდება და წარმატების შემთხვევაში მეოთხედფინალშიც გავა, სადაც მორიგ მეტოქედ კანადელ **გილიამ პერრაულტსა** და კამერუნელ **მარსელ ნდჯიკის** შორის მოგებული ეყოლება. **ვალერი ლიპარტელიანი** ამჯერად 100 კილოგრამში გამოვა, სადაც A ქვეჯგუფში მოხვდა. აქ მასთან ერთადერთი მეტოქეა, მაგრამ ძლიერი და ანგარიშგასაწევი - რუსი **სერგეი სამოილოვიჩი**. რუსი სადღეისოდ მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერია. ოლიმპიადამდე მან სალიცენზიო ჩათვლაშიც გაუსწრო თანაგუნდელ **ტაგირ ხაიბულაევს** და ლონდონში წასვლის უფლებაც მოიპოვა, თუმცა რუსთა იტალიელმა თავკაცმა **ეციო გამბამ** მაინც დაღესტნელი ამჯობინა. მწვრთნელმა თავისი საქმე იცის - ხაიბულაევმა მაშინ ტრავმების გამო ბლომად სალიცენზიო შეჯიბრება გამოტოვა და სამოილოვიჩმაც ამით ისარგებლა, თუმცა ხაიბულაევმა საკუთარი სიძლიერე ლონდონში დაამტკიცა. ამის მიუხედავად, ძიგორო კანოს „დიდი მუზარადის", ჩინეთის „დიდი პრიზისა" და სხვა სოლიდური შეჯიბრებების მომგები სამოილოვიჩი მაინც წონის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფალავანია და ლიპარტელიანს ამ ბარიერის დასაძლევად დიდი ჯაფა დაადგება.

**ირაკლი თავაძე**

### ჭადრაკი

# ლელა ჯავახიშვილი მიქასთვის იბრძვის

ქალთა 8 და ვაჟთა 34 გუნდი მონაწილეობს ეილათში (ისრაელი) ევროპის საკლუბო ჩემპიონატში. სამწუხაროდ, ქართველი კლუბები, რომლებსაც მანდილოსნებში სამჯერ აქვთ მოპოვებული ოქროს მედალი, ამ ტურნირში არ ასპარეზობენ, თუმცა ერთი წარმომადგენელი მაინც გვყავს — დიდოსტატი **ლელა ჯავახიშვილი,** რომელიც სომხეთის „მიკას" სპორტულ ღირსებას იცავს. ჩვენებურმა პირველ ტურში მასპინძელთა „რიშონ ლე-ზიონის" წევრი მიხალ ლაჰავი დაამარცხა, მისმა გუნდმა კი 3:1 გაიმარჯვა. წარმატებას მიაღწია ჩემპიონატის რეიტინგფავორიტმა, მსგავს ასპარეზობათა სამგზის გამარჯვებულმა „მონტე კარლომ" — დაძაბულ პაექრობაში რუსულ შფმ-ს აჯობა 2,5:1,5. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონმა ალექსანდრა კოსტენიუკმა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთი) აჯობა შავი ფიგურებით. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, მონტეკარლოელმა ჰამფი კონერუმ (ინდოეთი) ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული ვალენტინა გუნინა (რუსეთი) დაამარცხა, ორგზის ევროპის ჩემპიონმა პია კრამლინგმა (შვედეთი) ალინა კაშლინსკაიას (რუსეთი) გააჩერებინა საათი, სლოვენიელი ანა მუზიჩუკი („მონტე კარლო") და რუსი ეკატერინა კოვალევსკაია კი დაზავდნენ. დანარჩენი შეხვედრები: AVS (რუსეთი) — „იუგრა" (რუსეთი) 1,5:2,5 (საგულისხმოა, რომ AVS შარშანდელი საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულია). აშდოდი (ისრაელი) — „ჩიგორინის კლუბი" (რუსეთი) 2,5:1,5.

ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ტურის სენსაცია იყო ტურნირის რეიტინგფავორიტ აზერბაიჯანის „სოკარის" მარცხი ისრაელის „აშდოდთან" 2,5:3,5. (თეიმურ რაჯაბოვი — ვასილი ივანჩუკი 0,5:0,5, შაჰრიარ მამედიაროვი — ანდრეი ვოლოკიტინი 0:1, ვესელინ ტოპალოვი — პაველ ელიანოვი 0:1, ალექსანდრ გრიშჩუკი — ილია სმირინი 0,5:0,5, გატა კამსკი — ევგენი რომანოვი 1:0, ემილ სუტოვსკი — ბორის ავრუხი 0,5:0,5). შარშანდელმა ჩემპიონმა „სანკტ-პეტერბურგმა" „გროს სეიკ თალდეა" დაამარცხა 5:1. პირველ ტურში 17-31 შეხვედრა შედეგიანი გამოდგა.

**ვაჟა დანელია**

# სამოსანი ხუთია

ჯაკარტაში (ინდონეზია) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ ორი ტურის პარტიები გაიმართა. ასპარეზობის ერთადერთმა ქართველმა მონაწილე **მერაბ გაგუნაშვილმა** შავი ფიგურებით მასპინძელი დენი ჯესვანტოს სძლია. ჩვენებურთან ერთად კიდევ 13-მა მოჭადრაკემ მოაგროვა 2-2 ქულა. მესამე ტურში მათი რიცხვი ხუთამდე შემცირდა: გაგუნაშვილმა თეთრებით საერთაშორისო ოსტატი ოლივერ დიმაკოლინგი დაამარცხა. ოროსანთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ჰაი დაო — იუ იანი 0,5:0,5, შეხარ სურია განგული — მარატ ჯუმაევი 1:0, დმიტრი ბოჩაროვი — ჰოა ნგუენი 1:0, ავეტიკ გრიგორიანი — რიჩარდ ბითუნი 1:0, შანგეი ლუ — ტანია საჩდევი 1:0, შენ იანი — სიუ დეშამი 0,5:0,5. მე-4 ტურში გაგუნაშვილი თეთრებით სურია განგულის დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

### სამბო. მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში

# სრულკომპლექტიანი დასაწყისი

გუშინ სოფიაში დაიწყო ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩვენმა ნაკრებმა პირველივე დღეს სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა. რაოდენობრივად უფრო მეტი ჯილდო ჭაბუკებმა ირგუნეს - 2, თუმცა ახალგაზრდებმა ერთი მოიპოვეს და ისიც ოქრო ანუ ხარისხობრივად უპირატესობა მათ მხარესაა. მსოფლიოს ჩემპიონი **ამირან იანვარაშვილი** (82) გახდა, რომელმაც ფინალში რუსი **გიორგი კორელი** დაამარცხა.

ჭაბუკთა შორის ფინალში **უშანგი მარგიანი** (75) გავიდა, რომელიც ასევე რუსს - **ალექსეი შევჩუკს** ხვდებოდა. სამწუხაროდ, ეს ორთაბრძოლა დავთმეთ და მარგიანიც ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაო კი **ირაკლი კუპატაძემ** (48) მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**

### ფოტომატიანე



**საქართველოში** სპორტის საწყლოსნო სახეობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული კერა ძველი თბილისის „სატივის უბანია", სადაც 1959 წელს ასევე ძველი „კუპალნიას" ადგილზე დაიწყო საცურაო აუზის მშენებლობა. 1978 წლის 13 ოქტომბერს კი განახლებული კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნა. 1992 წელს კომპლექსს ეწოდა „ვერე", 1997 წელს — „ლაგუნა-ვერე". დღეს განახლებული კომპლექსის ამუშავებიდან 34 წელი შესრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## საფეხბურთო ბურთების ევოლუცია

*დასაწყისი იხ. „ლელო“ N37*



6. **შვედეთი** 1958 წელი. შვედეთში ჩემპიონატს ამ ბურთმა უმასპინძლა. მაშინ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გახდა მსოფლიო ჩემპიონი და ამ ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა 17 წლის ბრაზილიელ პელეს.



7. **ჩილე** 1962 წელი. ჩილეში გამართულ ჩემპიონატზე ბურთი ძალიან დახვეწილი იყო წინა ბურთებთან შედარებით, იხილეთ სურათი და თავად დარწმუნდებით.



8. **ინგლისი** 1966 წელი. წითელი ტყავის ბურთმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს - ინგლისის ეროვნულ ნაკრებს. დედოფალმა ელისაბედ II-მ გადასცა თასი ინგლისელ ფეხბურთელებს.



9. **მექსიკა** 1970 წელი. პირველი შავთეთრი ბურთი და ახალი დებიუტი კომპანია „ადიდას“-ის. სწორედ მათ მიერ დამზადებულმა ბურთმა უმასპინძლა მექსიკაში გამართულ ჩემპიონატს.




10. **გერმანია** 1974 წელი. გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა, როგორც ტურნირის ფავორიტმა, მსოფლიო ჩემპიონატის თასი არავის დაუთმო და გერმანიაში დატოვა. ეს გერმანელების. მეორე გამარჯვება ამ ტურნირზე. გუნდის კაპიტანი გახლდათ ფრანც ბეკენბაუერი.

*www.narin.ge*

*გაგრძელება იქნება*

### თარიღი

**13–19 ოქტომბერი**

13. 1971 წ. დაიბადა **პიროს დიმასი** — ძალოსნობა (იტალია).

13. 1982 წ. ამ დღეს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა **ჯიმ ტორპი** გაამართლა და 1912 წელს ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს ორი მედალი დაუბრუნა.

13. 2007 წ. თავისი ბოლო ორთაბრძოლა ჩაატარა პროფესიონალმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ **ევანდერ ჰოლიფილდმა** (აშშ).

14. 1873 წ. დაიბადა **ჟიულ რიმე** — ფიფას დაარსების ინიციატორი.

15. 1968 წ. დაიბადა **დიდიე დეშამი** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

16. 1953 წ. დაიბადა **პაოლო რობერტო ფალკაო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

17. 1968 წ. დაიბადა **გრემ ლე სო** — ფეხბურთი (ინგლისი).

17. 1979 წ. დაიბადა **კიმ რაიკონენი** — ფორმულა-1-ის მრბოლი (ფინეთი).

18. 1955 წ. ამ დღეს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი **ჯესი ოუენსი** ყველა დროის საუკეთესო მძლეოსნად აღიარა.

19. 1962 წ. დაიბადა **ევანდერ ჰოლიფილდი** — პროფესიული მოკრივე (აშშ).

### ვიქტორინა

**1. რამდენგზის ოლიმპიური ჩემპიონია ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი?**

ა — ცხრაგზის
ბ — თორმეტგზის
გ — თვრამეტგზის

**2. რომელ ველომრბოლს ჩამოართვეს სპორტიდან წასვლის შემდეგ ყველა ტიტული, რაც მან მოიპოვა დოპინგის გამოყენებაში მხილების გამო?**

ა — მიგელ ინდურიანს (ესპანეთი)
ბ — ლენს არმსტრონგს (აშშ)
გ — პაოლო ბეტინის (იტალია)

**3. რომელი წლიდან დამკვიდრდა ფორმულა-1-ის მოგების შემდეგ შამპანურის შხაპით წარმატების აღნიშვნა?**

ა — 1953 წლიდან
ბ — 1963 წლიდან
გ — 1967 წლიდან

**4. ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში სად გამოჩნდა პირველად ოლიმპიური თილისმა?**

ა — მიუნხენში
ბ — მონრეალში
გ — მოსკოვში

**5. დაასახელეთ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში სხვადასხვა დროს ორი სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების რიგებში ითამაშა...**

ა — ჯან ლუიჯი ბუფონი
ბ — ფერენც პუშკაში
გ — ლუის მონტი

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — გ, 4 — ა, 5 — გ

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

### ოლიმპიური მედლები



ბარსელონა, 1992



### პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** საფეხბურთო მატჩი კანადაში გაიმართა 1873 წლის 18 ოქტომბერს.

* * *

**პირველმა** 100 იარდი 10 წამზე ნაკლებ დროში ინგლისელმა **ჯონ ოუენმა** გაირბინა.

* * *

**პირველად** ჭადრაკში გავლით აყვანის წესი გამოიყენეს 1490 წელს.

### არა არს რა დაფარული

## ცოდვა გამ[illegible]ებს




ერთხელ, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ''სანტოსის'' კლუბის მდივანმა ქალმა ვარჯიშიდან გამოსულ პელეს მიმართა:- ბატონო ედსონ (პელეს ნამდვილი სახელია Edson Arntes Donasimento), თქვენს სახელზე წერილია მოსული და მე მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ. ბრაზილიაში, ფეხბურთის ცნობილ ვარსკვლავებთან ათასი წერილი მოდიოდა და რახან პელეს გამორჩეულად ამ წერილის თაობაზე მიმართეს, მან არ დააყოვნა და წერილი იქვე წაიკითხა. აი, რა ეწერა იქ, რომელიც „ფეხბურთის მეფეს“ პატარა ბიჭუნამ გაუგზავნა. „პატივცემულო პელე! მინდა გამოგიტყდეთ ცოდვაში, რომელიც უკვე რამდენი წელია მაწვალებს. ძალიან მრცხვენია და არ შემიძლია არ გამოგიტყდეთ: მე ვარ ის, რომელმაც რამდენიმე წლის წინ მოვახერხე და ბრაზილიის ნაკრების გასახდელიდან თქვენი N10 მაისურა მოვიპარე. ვიცი, მას ფასი არა აქვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ საძაგლად მოვიქეცი. გთხოვთ მაპატიოთ! მაისურს კი აუცილებლად დაგიბრუნებთ.''

წერილის წაკითხვისთანავე, პელემ მდივანს პასუხი უკარნახა: „ჩემო პატარა თაყვანისმცემელო! შენ ნამდვილი კაცი ყოფილხარ, რადგანაც ცუდი საქციელი აღიარე და მოინანიე. მე ჩადენილს გაპატიებ და ამის დასტურად გჩუქნი ჩემს მაისურს. გისურვებ წარმატებას.Edson Arntes Donasimento-პელე.''

ეჭვგარეშეა ის, რომ ალალად ნაჩუქარ მაისურს, ის , ან უკვე გაზრდილი ბიჭი, დღეს არავის მოაპარინებს.

### საინტერესო ამბების აბგიდან

**ნიუ იორკის** სასამართლომ 1989 წლის 15 ოქტომბერს უცნაური განაჩენი გამოიტანა — ქუჩაში ატეხილი ჩხუბისთვის ლეგენდარულ მოკრივეს **მაიკ ტაისონს** 45 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა **მიჩ გრინის** სასარგებლოდ.

■ ■ ■

**1885 წლის** 16 ოქტომბერს აშშ-ის ბეისბოლის ეროვნულმა ლიგამ განსაზღვრა მოთამაშეთა ხელფასი — ზღვრული 2 ათასი, მინიმალური — ათასი დოლარი.

■ ■ ■

**1799 წელს** დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია **ბენჯამინ ფრანკლინის** ავტორობით გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ „ჭადრაკის მორალური ფასეულობა ამერიკაში“. სხვათა შორის, ეს იყო პირველი სტატია საჭადრაკო თემაზე.

■ ■ ■

**პირველი** ოლიმპიური მონეტა — “ტეტრადრაჰმა” — თამაშებთან დაკავშირებით გამოუშვეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 წელს.

■ ■ ■

**პრესამ** პირველად 1971 წელს მიაქცია ყურადღება **დიეგო მარადონას**. არგენტინულმა გაზეთმა „კლარინმა“ სტატია გამოაქვეყნა საბავშვო გუნდ „ლას სებოლიტასზე“ (ჩვენებურად „ხახვის პატარა თავები“), მის ლიდერ 10 წლის დიეგოს კი ღვთისგან მომადლებული გენიის მქონე მოთამაშე უწოდა. ამასთან, ჟურნალისტმა მომავალი ვარსკვლავი „კარადონად“ მოიხსენია.

■ ■ ■

**წყალზე** პირველი სისწრაფის რეკორდი 1919 წელს 19 სექტემბერს **კასეი ბოლდვინმა** დაამყარა, როდესაც თავისი ნავი Hydrodome IV-ით 70,6 კილომეტრი საათში სიჩქარე განავითარა. დღეისათვის მსოფლიოს უსწრაფესი ნავიც XX საუკუნის 1970-იან წლებში ააწყვეს, 1978 წლის 8 ოქტომბერს აღნიშნულმა ნავმა სახელად The Spirit of Australia (ავსტრალიის სული) 511,1 კმ/სთ სიჩქარე განავითარა, ეს ავსტრალიის შტატ ახალი სამხრეთ უელსის სანაპიროსთან მოხდა და დღეისათვისაც ამ რეკორდის გამეორება ვერავინ შეძლო.

### სერიიდან: უცნაური სტადიონები

ეს სტადიონიც უცნაურ სტადიონთა ნუსხაშია შეტანილი. იგი გაშენებულია ფერარის კუნძულებზე წყლისა და ხმელეთის გარემოცვაში, თანაც როგორ ადგილას?



კალათბურთი

დუდუ დადიანის მემორიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არმია, ოლიმპი, ქუთაისი

## ბორისა დაბრუნდა

სათაურში სამი გუნდის სახელია. „არმიამ“ გასულ სეზონში სუპერლიგაში პირველი ადგილი დაიკავა, „ოლიმპმა“ - მეორე, ხოლო „ქუთაისმა“ - მესამე. დუდუ დადიანის მემორიალის გახსნით მატჩებში სამივემ გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2011-12 წლების სეზონის შემდეგ ჩემპიონატის ტოპ-სამეულმა პოზიციები შეინარჩუნა და ახალ პირველობაზეც წამყვან პოზიციებზე იქნება. საკითხავი მხოლოდ ისაა, სხვა გუნდები თუ მოახერხებენ მათი ჰეგემონიის დამხობას.

ვინ როგორ ითამაშებს სუპერლიგაში, ამაზე 20 ოქტომბრის შემდეგ ვილაპარაკებთ, დღეს კი დუდუ დადიანის მემორიალზე ვიმსჯელოთ.



არმია-თსუ. ლაშა გამყრელიძის რეიდი

12 ოქტომბერი, თბილისი

სპორტის სამინისტროს დარბაზი

B ჯგუფი

**ოლიმპი-სტუ 88:54**

26:12, 20:18, 20:16, 22:8

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (5ქ), ტომარაძე (13ქ, 5მ), სოკი (14ქ, 5პ), ბერიშვილი (16ქ), მიქელაძე (3ქ, 3პ), თენიეშვილი (8ქ), ფაცაცია (13ქ), ტუტუსი (10ქ, 11მ, 6პ), ლობჟანიძე, ცირეკიძე (2ქ), ა. დვალიშვილი (4ქ, 5მ, 3პ), ჰოგერი (6მ).

**სტუ:** ჩაჩიბაია (16ქ, 4პ), თევზაძე (4ქ), ჯანაშია (14ქ, 7მ), კვეტენაძე (4ქ), კორკოტაძე (4ქ), ლ. მინაშვილი (2ქ), მაჩალაძე (2ქ, 6მ), პირველაშვილი (2ქ), დ. დვალიშვილი (4ქ), კუჭავა, ძიძიგური (2ქ, 3ჩ), ქორიძე.

**მსაჯები:** კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ვართანოვი.

A ჯგუფში სამი გუნდია. გუშინ ითამაშეს „ოლიმპმა“ და სტუ-მ. ერთი ფავორიტი დღეს 11 საათზე ჩაერთვება - შსს სტუ-ს დაუპირისპირდება. ამ ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრა კი კვირას, 14 ოქტომბერს გაიმართება - „ოლიმპი“ „შსს აკადემიას“ „დაეჭიდება“. ალბათ, ეს მატჩი გადაწყვეტს ერთი ფინალისტის ვინაობას.

გუშინ კი ოლიმპელებმა ტექნიკოსებს დამაჯერებლად სძლიეს - 88:54. სხვაობა დიდია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდების შემადგენლობებზე ლაპარაკისგან თავი შევიკავოთ. დუდუ დადიანის მემორიალის პირველი დღე 2012-13 წლების სეზონის გახსნა იყო. ამიტომ ყველასთვის საინტერესოა, გუნდებში რა შეიცვალა.

სერიოზული ცვლილებები განხორციელდა სტუ-ში. გუნდში ერთბაშად ცხრა ახალწვეულია: **ჩაჩიბაია, ჯანაშია, კვეტენაძე, კორკოტაძე, მინაშვილი, პირველაშვილი, დვალიშვილი, კუჭავა** და **ქორიძე**. თუ შარშანდელ შემადგენლობას გავიხსენებთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლეულს უკეთესი თუ არა, არანაკლები გუნდია. თუმცა, როგორც ნებისმიერ ახალშეკრებილ გუნდს, სტუ-საც შეთამაშება სჭირდება.

რაც შეეხება „ოლიმპს“, კლუბის ხელმძღვანელობა სწორ გზას ადგას - შარშანდელი სეზონის შემდეგ ოლიმპელთა რიგებში დარჩნენ ის უცხოელები, რომლებმაც მწვრთნელების იმედები გაამართლეს (**ნიკოლა ტუტუსი** და **ივო ჰოგერი**). მათ დაემატა ორი ლეგიონერი **სტენ სოკი** (ესტონეთი) და **ლუკა სიელკოჩა** (ჩერნოგორია). შემადგენლობა შეივსო ახალგაზრდებით, **აკაკი დვალიშვილით, კოკა ტომარაძით, ნოდარ თენიეშვილით, ირაკლი მიქელაძეთ.** მათ დავუმატოთ შარშანდელი ჩემპიონატის სნაიპერი **მიხეილ ბერიშვილი** და თამამად შეგვეძლება თქმა, რომ საქმე გვაქვს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან. დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.

A ჯგუფი

**არმია-თსუ 98:49**

19:19, 22:16, 24:6, 33:8

**არმია:** გამყრელიძე (7ქ, 4პ), ბაბიაშვილი (7ქ, 5მ), ა. ბორისა (8ქ), ვ. ბორისა (8ქ, 5მ), უგრეხელიძე (4ქ, 3პ), მილეიჯი (22ქ, 3პ, 3ჩ), წივწივაძე (2ქ, 5პ), შელბომი (7ქ, 8მ, 2დ), საყვარელიძე (6ქ, 3პ), შარაბიძე (8ქ, 5მ), ჯგერენაია (9ქ, 9მ), ფარლალავა (10ქ).

**თსუ:** ბაქრაძე (10ქ, 4პ), ასელაინი (4ქ, 7მ), მჭედლიშვილი, თავამაიშვილი (2ქ), ტეტელაშვილი (3ქ), ხანიაშვილი (2ქ), კობიძე (6ქ), ჩქარეული (13ქ), ხიზანიშვილი (3ქ), ნოზაძე (6ქ).

**მსაჯები:** მაჩალაძე, ბერეკაშვილი, მიქელაძე.

თუ სხვა გუნდები საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ჩემპიონ „არმიას“ ორმაგი პასუხისმგებლობა აქვს - ეროვნული პირველობის პარალელურად ევროჩელენჯი უნდა ითამაშოს. ისევე როგორც შარშან, არმიელების მიზანი მეორე ეტაპზე გასვლაა. თუ გუნდის შემადგენლობას გადავხედავთ, ეს მისია შესრულებადია, თუმცა მთავარია, **კოტე ტულუშის** ნაწვრთნილი გუნდი ევროთამაშებს სათანადოდ მომზადებული და შეთამაშებული შეხვდეს.

დუდუ დადიანის მემორიალის პირველ ტურში ითამაშა ორმა ლეგიონერმა, შვედმა **იოაკიმ შელბომმა** და ამერიკელმა **კურტის მილეიჯმა**. ორს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, **ფეისონსა** და **უილსონს**, რომლებიც საქართველოში ახალი ჩამოსულები არიან.

ცენტრი შელბომის შესაძლებლობებს შარშანდელი სეზონის შემდეგ კარგად ვიცნობთ, მილეიჯმა კი სადებიუტო შეხვედრაში თვალი მოგვჭრა: 8-დან 7 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 22 ქულის მოსაგროვებლად 17 წუთიც ეყო.

არაერთი ლეგიონერის გვარი ჩამოვთვალეთ, მაგრამ „არმიაში“ ყველაზე ღირებული შენაძენი ქართველია - **ვლადიმერ ბორისა**. ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში ევროლიგაზე ნათამაშები ჩვენი კალათბურთელების მონაგარი გაგაცანით. ამ ტურნირზე ყველაზე მეტი, 7 სეზონი სწორედ ბორისას აქვს ჩატარებული. თავის მხრივ, ვოვასაც სწორედ ისეთი ამბიციური გუნდი სჭირდებოდა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე ცდიდა ძალებს, ხოლო თავად გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურა იქნებოდა.

საკუთარი როლი ექნებათ გუნდში ახალწვეულ უკანახაზელებს **ლაშა გამყრელიძეს, ლაშა ფარლალავასა** და **ბექა წივწივაძეს.** 14 წუთში თითქმის ორმაგ დუბლს უწია **გიორგი ჯგერენაიამ** - 9 ქულა, 9 მოხსნა.



ოლიმპი -სტუ. უტევს ლევან ფაცაცია

თსუ-ში მწვრთნელმა **გიორგი ჩხაიძემ** საინტერესო შემადგენლობა შეკრიბა. ეს ფუჭი სიტყვები რომ არ არის, შეხვედრის პირველ პერიოდშიც დავრწმუნდით. სტუდენტები სწრაფი, გააზრებული თამაშის წყალობით 14:6 დაწინაურდნენ. კარგად გამოიყურებოდა **ვახტანგ ჩქარეული,** რომელმაც თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი, 13 ქულა მოაგროვა.

მეორე ტაიმში გამოცდილებამ თავისი გაიტანა და „არმიამ“ სეზონი მოგებით გახსნა.

**ქუთაისი-რუსთავი 65:62**

16:17, 16:20, 16:14, 17:11

**ქუთაისი:** ფაშაევი (6ქ, 9პ), ბაბუნაშვილი (10ქ), დიდია (2ქ), კვიმსაძე (10მ, 6პ), დ. ბარბაქაძე (8ქ), ლომინაშვილი (7ქ), გ. ბარბაქაძე 17ქ, 10მ), მათიაშვილი (15ქ, 8მ, 2დ).

**რუსთავი:** ბოუი (15ქ, 8მ, 5პ), ცეკვავა (6ქ, 7მ, 4პ), აბაიშვილი (5ქ), ჩაჩანიძე (2ქ), ჭოჭუა (11ქ, 6მ), ტუჯანი (8ქ, 11მ, 4ჩ), ათანელიშვილი (4ქ), მაჭავარიანი (2ქ), ხმელიძე (9ქ, 5მ).

**მსაჯები:** კუპატაძე, მაჩალაძე, ი. ბერიშვილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე თანაბარი თამაში „ქუთაისისა“ და „რუსთავის“ დაპირისპირება იყო. ორწლიანი შესვენების შემდეგ რუსთაველებმა ძველი სახე დაიბრუნეს - გადაიყვანეს ქართულ კლუბებში მიმოფანტული რუსთაველი კალათბურთელები და ისეთი გუნდი შეკრიბეს, საპრიზო ადგილებისთვის თამამად რომ იბრძოლებს.

ქვემოქართლელებს ასევე ორი ლეგიონერი ჰყავთ - მეფარე **ნელსონი** და უკანახაზელი **ბოუი**. პირველს არ უთამაშია, ხოლო მეორემ დებიუტი 15 ქულით, 8 მოხსნითა და 5 პასით აღნიშნა. იგი მეტად მონდომებული ჩანდა.

შარშანდელი სეზონის შემდეგ ყველაზე ნაკლები ცვლილება „ქუთაისში“ განხორციელდა - „რუსთავში“ გადავიდა **გოგა ცეკვავა** და „არმიადან“ დაემატა **ბუბა კვიმსაძე**.

მესამე პერიოდის ბოლოს „რუსთავი“ 51:41 დაწინაურდა, რაც ერთი შეხედვით სოლიდური ფორა იყო, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა - ქუთათურებმა მეოთხე პერიოდში სამქულიანებიც კარგად სტყორცნეს, სამნამიანი ზონიდანაც არაერთი ქულა მოაგროვეს და საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე 65:62 დაწინაურდნენ. ბოლო შეტევა რუსთაველებს დარჩათ, თუმცა **მიხეილ ჭოჭუას შორეულმა** ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია.

დღეს:

| | |
|---|---|
| 11:00 | შსს აკადემია-სტუ |
| 13:00 | რუსთავი-თსუ |
| 15:00 | არმია-ქუთაისი |

**ვაჟა სიმონიშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



ქუთაისი-რუსთავი. რუსთაველი გოგა ცეკვავა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ჰაინეკენი და ჩელენჯ კაპი იწყება


ბურთით დავით ზირაქაშვილი

**ევროპაში სათასო ბატალიები იწყება. „ჰაინეკენისა თასისა“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებები, შესაძლოა, წლეულს ძველებური ფორმატით ბოლოჯერ ჩატარდეს. ახალი ტურნირების შექმნაზე ევროპული რაგბის მამები დიდი ხანია მუშაობენ და უახლოეს პერიოდში სამოქმედო გეგმასაც გაამჟღავნებენ.**

მანამდე კი, ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში ევროპის 24 გუნდი ჩაებმება, რომლებიც ექვს ჯგუფში არიან განაწილებულნი. შემდეგ ეტაპზე, ანუ პლეი ოფის ნახევარფინალში ჯგუფებში გამარჯვებულნი და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავლენ.

ევროპის უპირველესი სათასო ჯილდოსთვის ქართველ მორაგბეთა ხუთი ფრანგული კლუბი, „ტულუზი“, „კასტრი“, „კლერმონი“, „მონპელიე“, „ტულონი“ და ერთიც შოტლანდიური „ედინბურგი“ იბრძოლებს.

**დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი“ A ჯგუფში იასპარეზებს. პირველ ტურში მისი მეტოქე ინგლისური „სარასენზი“ იქნება. თამაში სკოტური რაგბის მექაში „მერიფილდზე“ გაიმართება. ედინბურგელები კელტთა ლიგაში წარუმატებლად ასპარეზობენ, ისინი 6 ტურის შემდეგ 12 ქულით მე-9 ადგილზე არიან. მათგან განსხვავებით, „სარასენზი“ ბოლო წლებში ინგლისის ერთ-ერთი წამყვანი კლუბია. ეს გუნდი წლეულსაც შესანიშნავად ასპარეზობს და ინგლისის ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ 20 ქულით მეორე ადგილზეა.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი დიმიტრი ბასილაია მატჩის განაცხადში არ არის. ამავე ჯგუფში, ფრანგული „მეტრო რასინგი“ შინ მიიღებს ირლანდიურ „მანსტერს“.

B ჯგუფში იასპარეზებს **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი“. ჩვენებურთა ეს გუნდი არამარტო ფრანგული, არამედ ევროპული რაგბის გრანდია და ნებისმიერი რანგის ტურნირის ფავორიტია. ტულუზელები პირველ შეხვედრას შინ გამართავენ ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზთან“, რომელშიც წლევანდელი სეზონის წინ ავსტრალიური „მელბურნ რებლზიდან“ დაბრუნდა მგეზავი **დენი სიპრიანი**.

ლესტერელებს ინგლისის ჩემპიონატში სარასენზის მსგავსად 20 ქულა აქვს და ახლა მესამე ადგილზეა. „ტულუზი“ კი საფრანგეთში 28 ქულით მეორეა. თუმცა თავიანთი ქვეყნების ჩემპიონატში მიღწეული შედეგებით განსჯა, ვინ როგორი სიძლიერისაა, პირობითობაა. „ტულუზი“ შინაურ კედლებში დაუმარცხებელია და, სავარაუდოდ, ამჯერადაც შეძლებს მეტოქის დამწუხრებას.

კაკოვინი და ბრეგვაძე ტრავმირებულნი არიან და ვერ ითამაშებენ. ამავე ჯგუფში უელსური „ოსფრიზი“ იტალიურ „ბენეტონს“ დაუპირისპირდება.

D ჯგუფში პლეი ოფში გასვლისთვის **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“ იბრძოლებს. სხვა „ქართული გუნდებისგან“ განსხვავებით კასტრელებს პირველ ტურში სტუმრად მოუწევთ თამაში ირლანდიურ „ალსტერთან“. ჩვენებურის გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, მაშინ, როცა „ალსტერი“ „კელტთა ლიგის“ ლიდერია.

ანტონ ფეიქრიშვილმა ტრავმა ახლახან მოირჩინა და, როგორც ჩანს, მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა. ამავე ჯგუფში ინგლისური „ნორსჰემპთონი“ საკუთარ მოედანზე ეთამაშება შოტლანდიურ გლაზგოს.

საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდა **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“. „ვულკანები“ E ჯგუფში პირველ ტურში უელსურ „ჰლანეჰლის“ უმასპინძლებენ. ეს გუნდი „კელტთა ლიგაში“ ლიდერ „ალსტერს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა. კლერმონელები საკუთარ მოედანზე წაუგებელი სერიით ევროპის რეკორდსმენები არიან. სავარაუდოდ, ზირაქა და კომპანია არც ამჯერად დათმობს რამეს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კლერმონმა“ სათანადო სპორტული ფორმა ვერაფრით აკრიფა და რაგინდარა გუნდთან მოგება ძალიან უჭირს.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაშია, კოლელიშვილი განაცხადში არ არის. ამავე ჯგუფში „ჰაინეკენის თასის“ ამჟამინდელი მფლობელი ირლანდიური „ლენსტერი“ შინ ინგლისურ „ექსეტერს“ დაუპირისპირდება.

F ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი, **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავას, კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“ და **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ ითამაშებენ. პირველ ტურში ტულონში სწორედ ეს გუნდები დადგებიან ერთმანეთის პირისპირ.

„მონპელიეს“ არგენტინის ნაკრებიდან ექვსივე მოთამაშე დაუბრუნდა. ამათგან ოთხი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. გიორგი ჟღენტი და მამუკა გორგოძე კი სათადარიგოთა შორის იქნებიან, ნარიაშვილი ტრავმირებულია.

საბრძოლო შემადგენლობით აპირებს თამაშს „ტულონი“, რომლის მიზანიც წლეულს როგორც საფრანგეთის ჩემპიონატის, ასევე „ჰაინეკენის თასის“ მოგებაა. ინგლისელი **ჯონი ვილკინსონი** და ფრანგი **ფრედერიკ მიშალაკი** დუეტში იასპარეზებენ. ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორისაა, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ არიან.

**ჰაინეკენის თასი**

**I ტური**

**A ჯგუფი**

**მეტრო რასინგი-მანსტერი, ედინბურგი-სარასენზი**

**B ჯგუფი**

**ოსფრიზი-ბენეტონი, ტულუზი-ლესტერი**

**C ჯგუფი**

**ზებრე-კონოთი, ჰარლიქვინზი-ბიარცი**

**D ჯგუფი**

**ალსტერი-კასტრი, ნორსჰემპთონი-გლაზგო**

**E ჯგუფი**

**ლენსტერი-ექსეტერი, კლერმონი-ჰლანეჰლი**

**F ჯგუფი**

**სეილ შარქსი-კარდფი, ტულონი-მონპელიე.**

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშება A ჯგუფის გუნდების მატჩით გაიხსნა. **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა“ შინ მიიღო ინგლისური გლოსტერი და 6:11 დამარცხდა. მჭედლიძემ ტრავმა ახლახან მოიშუშა და მასპინძელთა შემადგენლობაში წლეულს პირველად ითამაშა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 39-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ფრანგული „ბორდო“ შინ მიიღებს ინგლისურ „ლონდონ აირიშს“.

„მონ და მარსანის“ გარდა „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში კიდევ ერთი „ქართული გუნდი“, **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ ჩაერთვება. პარიზელებს პირველ ტურში სტუმრად მოუწევთ თამაში ინგლისურ „ლონდონ ველშთან.“

ჟვანია ძირითად შემადგენლობაშია. ამავე ჯგუფში ფრანგული „გრენობლი“ იტალიურ „პრატოს“ უმასპინძლებს.

**ჩელენჯ კაპი**

**I ტური**

**A ჯგუფი**

**მონ დე მარსანი-გლოსტერი 6:11, ბორდო-ლონდონ აირიში**

**B ჯგუფი**

**როვიგო-პერპინიანი, გერნიკა-ვორსტერი,**

**C ჯგუფი**

**ბაიონი-მოლიანო, ვოსფსი-ნიუპორტი**

**D ჯგუფი**

**ბუქარესტი-ბასი, კალვიზანო-აჟენი**

**E ჯგუფი**

**გრენობლი-პრატო, ლონდონ ველში-სტად ფრანსე**


შერკინებაში გიორგი ჟღენტი

საქართველოს ჩემპიონატი


ლელო-არმია

# გამოცდილი ლელო და ახალგაზრდა ჯიქები

**საქართველოს ჩემპიონატის მეშვიდე ტურის წინ სატურნირო მდგომარეობა როგორც ცხრილის სათავეში, ისე მეორე ნაწილში საკმაოდ დაძაბულია. ამ დროისთვის პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლაში ერთბაშად ექვსი გუნდია ჩართული. ამათ შესაძლოა, კიდევ ერთი, რუსთავის „ხარები“ დაემატოს, რომელსაც ერთი მატჩი თადარიგში აქვს.**

ტურის ცენტრალური მატჩი გათამაშების ლიდერის, თბილისის „ლელოსა“ და მესამეადგილოსანის, თბილისის „ილიაუნი ჯიქის“ დაპირისპირებაა. არაერთხელ გვითქვამს და ერთხელაც აღვნიშნავთ, რომ გათამაშების დებიუტანტის, „ჯიქების“ ასპარეზობა ყველასთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა.

უმაღლესი ლიგის ახალბედამ შესანიშნავი სტარტი აიღო და რაც ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა, ის არის, რომ „ჯიქების“ შერკინება და უკანა ხაზი თანაბრად ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და თანამედროვე, გამართულ რაგბის თამაშობენ. გუნდი ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეცაა. რადგან ხშირად, გამოუცდელობა თამაშს შესამჩნევ დაღს ასვამს.

„ლელოს“ ლიდერობა კი მოულოდნელი არავისთვისაა. ეს გუნდი ბოლო ათწლეულში მუდამ მოწინავეთა შორისაა და მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. მეტიც, ლელოელებს სხვებისგან გამორჩეული თამაშის საკუთარი სტილი ჩამოუყალიბდა, რაც ამ გუნდის ხელმძღვანელების მრავალი წლის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. ამდენად, გამოცდილი „ლელოსა“ და ახალგაზრდული „ჯიქების“ დაპირისპირება, ვფიქრობთ, მე-7 ტურში ყველაზე საინტერესო იქნება.

უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივისა“ და ამჟამად მეოთხე ადგილზე მყოფი თბილისის „არმაზს“ შორის. რკინიგზელებმა, მართალია, წლევანდელი სეზონი წარუმატებლად დაიწყეს, მაგრამ გუნდის პოტენციალიდან გამომდინარე, უნდა ველოდოთ, რომ სამომავლოდ მდგომარეობას რადიკალურად გამოასწორებს.

საამისოდ კარგი ტესტი „არმაზთან“ მატჩი იქნება. არმაზელებმა სტარტზე ზედიზედ ოთხი მოგების შემდეგ, ორჯერ წააგეს და ორივეჯერ გათამაშების ფავორიტებთან. თუმცა ორივე შემთხვევაში „არმიას“ და „აიასაც“ ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

არმაზელები წლების განმავლობაში თითქმის ერთი შემადგენლობით ასპარეზობდნენ და კარგად შეკრულ გუნდად ჩამოყალიბდა. მათი ძლიერი მხარე ყოველთვის შერკინება იყო, ამჟამად კი უკანა ხაზიც მძლავრად აამუშავეს და შედეგიც აშკარაა. თუ „არმაზმა“ ასევე ტრადიციულად ძლიერი მორკინალებით დაკომპლექტებული „ლოკომოტივის“ მიძალებას გაუძლო, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ბევრ პრობლემებს შეუქმნის.

საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიას“ ეთამაშება და, წესით, გამარჯვების მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს. თუმცა აკადემიელებს სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლიათ. ძნელი სათქმელია, რამდენად შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოყენებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია, არმიელებს იოლი გასეირნება არ ექნებათ.

კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა ელის სტუმრად რუსთავის „ხარებთან“ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონ ქუთაისის „აიას“. ქუთათურთა პრობლემა ძალიან ახალგაზრდული და გამოუცდელი პირველი ხაზია. თუმცა, სავარაუდოდ, ეს „ხარებთან“ მატჩში დაბრკოლებად არ უნდა იქცეს.

„აია“ ახლა 15 ქულით მე-5 ადგილზეა. რუსთავში მას აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. პირველი წრის დარჩენილ ორ შეხვედრაში კი ქუთათურები აუტსაიდერებს „აკადემიასა“ და „ყოჩებს“ ეთამაშებიან. ამ გუნდებთან წარმატების შემთხვევაში „აია“ საპლეიოფო ოთხეულში შესვლას შეძლებს.

**VII ტური**

**ლელო-ილიაუნი ჯიქი, ლოკომოტივი-არმაზი, ხარები-აია, აკადემია-არმია, ყოჩები-ბათუმი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | +91 | 24 |
| 2. არმია | 6 | 5 | 0 | 1 | +44 | 22 |
| 3. ჯიქები | 6 | 4 | 0 | 2 | +31 | 19 |
| 4. არმაზი | 6 | 4 | 0 | 2 | +26 | 17 |
| 5. აია | 6 | 3 | 1 | 2 | -2 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | +8 | 14 |
| 7. ხარები | 5 | 2 | 0 | 4 | -21 | 9 |
| 8. ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | -26 | 5 |
| 9. აკადემია | 6 | 1 | 0 | 5 | -89 | 5 |
| 10. ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | 62 | 3 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● კალათბურთი. NBA 2012-13 წელი



ოკლაჰომას ლიდერები - უესტბრუკი და დურანტი

# სეზონის წინ: ოკლაჰომა სიტი

**ოკლაჰომა სიტი 2011-12**

**თავდასხმა**: საშუალოდ 107,1 ქულა - მე-2 ლიგაში

**დაცვა**: საშუალოდ 100,0 ქულა - მე-9 ლიგაში

**წინა ხაზი**

ის, რომ **კევინ დურანტი** მეორე ფორვარდის როლს თამაშობს - შესანიშნავია. მაგრამ ის ვერანაირ დახმარებას ვერ იღებს შეტევაში **კენდრიკ პერკინსისგან** და **სერჟ იბაკასგან**. აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება შეუმჩნეველი გახდეს, რაოდენ კარგადაც არ უნდა თამაშობდეს ეს ორი კალათბურთელი დაცვაში.

**შეფასება**: 5

**უკანა ხაზი**

**რასელ უესტბრუკი** მუდმივად პროგრესირებს სხვადასხვა სათამაშო კომპონენტში. განსაკუთრებით მონდომებით მუშაობდა ის საშუალო ტყორცნაზე, რამაც, ეჭვგარეშეა, შესამჩნევი შედეგი მოიტანა. მას მუდმივად აკრიტიკებენ და ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს – ის სუპერვარსკვლავის სტატუსს იხვეჭს. **ტაბო სეფოლოშა** კარგი მცველია, **ჯეიმს ჰარდენი** კი, რომელიც მას ცვლის – "ოკლაჰომას" სათადარიგოთა სკამის მთავარი შემტევი ძალა.

**შეფასება**: 4 პლუსით

**დაცვა**

2010-11 წლების სეზონში, "ოკლაჰომა" მხოლოდ თავის შემტევ ძალაზე იყო დამოკიდებული, გასულ წელს კი გუნდმა დაცვასაც მიაქცია სათანადო ყურადღება. იმ მოთამაშეების წყალობით, რომლებიც ერთნაირად წარმატებით მოქმედებენ როგორც სამწამიანში, ასევე პერიმეტრზე, დამდეგ სეზონში გუნდი კიდევ უფრო მოუმატებს თამაშის ამ კომპონენტში.

**შეფასება**: 5 მინუსით

**სათადარიგოთა სკამი**

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გუნდის რეალური სისუსტე მის სათადარიგოთა სკამშია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლიგის საუკეთესო "მეექვსე" მოთამაშეს ჯეიმს ჰარდენს, რეალურად ძლიერ რეზერვისტს ვერ ვხედავთ. მხოლოდ **ნიკ კოლისონისა** და **ერიკ მეინორის** დასახელება შეიძლება, რომელიც მხოლოდ ახლა მომჯობინდა მუხლის ტრავმის შემდეგ.

**შეფასება**: 3 პლუსით

**მწვრთნელი**

"ოკოლაჰომას" სურდა **სკოტ ბრუქსთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება. მწვრთნელსაც იგივე სურვილი ჰქონდა, საქმე მხოლოდ ფულში იყო. ახლა, როცა მხარეები შეთანხმებამდე მივიდნენ, მთავარი მწვრთნელისგან უახლოეს მომავალში "ოკლაჰომას" გაჩემპიონებას ელიან.

**შეფასება**: 4

**საბოლოო შეფასება**

ამიერიდან, დასავლეთის ნებისმიერი გრანდი იძულებული იქნება პატივი სცეს "თანდერის" პოტენციალს. და არა მხოლოდ ამ სეზონში. ამ შემადგენლობით, "ოკლაჰომა" კიდევ რამდენიმე წელი იქნება ლიდერთა შორის. წელს ისევ ფინალში რომ მოხვდნენ და ჩემპიონობა ვერ მოიგონ, ეს მაინც დადებით შედეგად შეფასდება.

ძალიან საინტერესო იქნება სეზონის მსვლელობისას გუნდის შემადგენლობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაკვირვება. იმის გათვალისწინებით, რომ იბაკასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდა, ბიუჯეტში თანხები არასაკმარისია ჯეიმს ჰარდენის შესანარჩუნებლად. გაცვლიან თუ არა მას სეზონის მსვლელობის დროს? წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ ზაფხულს თავისუფალ აგენტებში გასული ჰარდენი, შეიძლება ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაკარგონ. ეს ყველაფერი სამწუხაროა, რადგან ჰარდენის წყალობით, "ოკლაჰომა" ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი გუნდია ლიგაში.

**საერთო შეფასება**: 5

● NBA საკონტროლო მატჩები

**შარლოტი–ნ. ორლეანი 87:90**

7:23, 29:15, 28:16, 23:36

**შ**: გორდონი (15), მულენსი (15), სეშენსი (11), ჰენდერსონი (11).

**ნ-ო**: რობერტსი (16+8 პასი), ტომასი (14), ანდერსონი (14+8 მოხსნა), დევისი (12+9 მოხსნა), მეისონი (11).

**ვაშინგტონი–ნიუ იორკი 101:108**

21:38, 35:15, 24:29, 21:26

**ვ**: კროუფორდი (17), ბილი (15+5 მოხსნა+5 პასი), უებსტერი (12+10 მოხსნა), სერაფინი (10).

**ნ-ი**: ნოვაკი (21), სმიტი (20+6 პასი), ენტონი (17+5 მოხსნა), პრიჯიონი (14), ჩენდლერი (13).

**ორლანდო–ფილადელფია 95:102**

34:33, 24:26, 21:22, 16:21

**ო**: დევისი (16+12 მოხსნა), ნიკოლსონი (14), თურქოგლუ (13), ვუჩევიჩი (12+10 მოხსნა).

**ფ**: ჰოლიდეი (27), ნ. იანგი (22), ტ. იანგი (10+5 მოხსნა), რაიტი (10).

**გ. სტეიტი–მაკაბი (ი) 108:100**

27:29, 23:17, 33:25, 25:29

**გ-ს**: ლენდრი (24+8 მოხსნა), ბარნსი (20), ეზილი (15+8 მოხსნა), კარი (13+10 პასი), რაში (12), ჯეკი (10+6 პასი).

**მ**: სმიტი (28+8 მოხსნა+5 პასი), სტოლი (18+3 ჩაჭრა), კარი (13+6 პასი), კალატესი (13+6 მოხსნა), ტომასი (10+13 მოხსნა).

● კალათბურთი. ინტერვიუ კობი ბრაიანტთან

# მალე ლეიკერსი ჰოვარდის გუნდი იქნება

**"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი კობი ბრაიანტი ლაპარაკობს სტივ ნეშთან ურთიერთობაზე, ლონდონის ოლიმპიადაზე, აგრეთვე პირად მისწრაფებებსა და ჰობიზე...**

**- ფსიქოლოგიურად რა უფრო იოლია: იყო 34 წლის თუ 26 წლის?**

- ალბათ 34 წლის. ასაკთან ერთად ადამიანი უფრო ჭკვიანი ხდება.

**- არაერთხელ გითქვამთ, რომ კლუბის ახალწვეულებთან იქამდე გქონდათ ურთიერთობა, სანამ ისინი ხელს მოაწერდნენ "ლეიკერსთან" კონტრაქტს. აქედან კითხვა: როდის გაიგეთ ზუსტად, რომ ნეში "ლეიკერსში" გადავიდოდა? ცნობილია, რომ კანადელის გაფორმებამდე მას თქვენთან ჰქონდა სატელეფონო საუბარი. ის ამ დიალოგის შემდეგ ხომ არ დათანხმდა ტრანსფერს?**

- შემიძლია გითხრათ, რომ მას მეტად სოლიდური არგუმენტები წარვუდგინე. ერთმანეთის მიმართ უდიდეს პატივისცემას ვგრძნობთ. გარდა ამისა, ჩვენ ლიგაში ერთად მოვედით.

**- ერთი დრაფტიდან...**

- დიახ. რა თქმა უნდა, მაშინდელი დრაფტისას წარმოდგენა არ გვქონდა, ჩვენგან რა გამოვიდოდა, მით უმეტეს, ვერ წარმოვიდგენდით, რომ ოდესმე ერთ გუნდში მოვხვდებოდით. ახლა ჩვენ დავამტკიცებთ, რომ "ბებერი მგლები" ვართ, რომლებსაც კიდევ ბევრი შეუძლიათ. ნეში ორჯერ იყო სეზონის MVP - ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელია იმისა, რომ ასოციაციის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებელთან გვაქვს საქმე. შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად და ჯონ სტოქტონის, მარკ პრაისისა და აიზია ტომასის გვერდზე დასადგომად, მას საჩემპიონო ბეჭდის მოპოვება არ აწყენდა. აი, ეს იყო ჩემი მთავარი არგუმენტი.

**- თქვენი აზრით, რის ხარჯზე მოიპოვა ნეშმა ასეთი წარმატება?**

- პირველ რიგში იმიტომ, რომ ის თითქმის ყველა მოთამაშეზე კარგად ხედავს მოედანს. არ ვიცი, ეს საიდან მოვიდა - ეს კითხვა თავად მას უნდა დაუსვათ. შეიძლება იმის წყალობით, რომ ოდესღაც ფეხბურთს თამაშობდა. ასეა თუ ისე, სტივი შეტევის დროს, გონებაში დაუჯერებელი რაოდენობის ვარიანტებს ამუშავებს. მასთან ერთად თამაში მხიარული იქნება.

**- როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ ახლა უფრო ცოტა ხანი იქნებით ბურთით?**

- ზოგიერთი ადამიანი ძალიან სულელია. როცა მეუბნებიან, რომ მე ეგოისტი და ზედმეტად პრიმიტიული ვარ, მათ შემდეგ ფაქტს ვახსენებ: ჩემი თაობიდან არავის მოუპოვებია უფრო მეტი საჩემპიონო ბეჭედი. ეგოისტი ერთხელაც ვერ მოიგებს ტიტულს. მე კი ხუთგზის ჩემპიონი ვარ!

სინამდვილეში, სიამოვნებას მანიჭებს უბურთოდ თამაში - გაცილებით მეტი სივრცე გაქვს მანევრებისთვის. მით უმეტეს, თუ გუნდში სტივ ნეში გყავს.

**- საინტერესოა, როგორ დაიცავენ თქვენს წინააღმდეგ თავს მეტოქეები? ისინი ორმაგ მეურვეობას დაუყენებენ ნეშს, ჰოვარდს, გასოლსა და ბრაიანტს?**

- ვფიქრობ, ყველაფერი გაცილებით რთულადაა. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელები რამდენიმე ვარიანტს შეიმუშავებენ: სამწამიანის გამაგრებას, ბურთიანი მოთამაშის გვერდით ხაზზე გადაყვანას და ასე შემდეგ. ორმაგი მეურვეობა კი არ იმუშავებს - ჩვენ ხომ ერთ ადგილას არ ვიდგებით.

**- თავის მხრივ, როგორ შეცვლის დუაიტ ჰოვარდი გუნდის თამაშს საკუთარ ნახევარზე?**

- გასულ წელს სერიოზული პრობლემები გვქონდა ისეთი გუნდების წინააღმდეგ, როგორებიც არიან "ოკლაჰომა" და "მაიამი". მათ საკმაოდ ათლეტური მოთამაშეები ჰყავთ, რომლებიც სამწამიანში შეღწევას ლამობენ. ახლა მათ ასე ვეტყვი: აბა ახლა სცადეთ იქ შესვლა! ამიერიდან, ჩვენს "დაბლებს" შეეძლებათ პერიმეტრზე დარჩენა - მათ არ მოუწევთ დაზღვევაზე თამაში. ეს კი სწრაფი შეტევების საშუალებას მოგვცემს.

**- რადგან ტიტულები ახსენეთ, ფიქრობთ თუ არა მეექვსე ბეჭედზე ამ სეზონის წინ?**

- რა თქმა უნდა. ეს ჩემი მთავარი ამოცანაა. ეს არის შემდეგი დასაპყრობი მწვერვალი.

**- ამასწინ აღიარეთ, რომ დღევანდელი "ლეიკერსი" - ყველაზე ნიჭიერი გუნდია იმათგან, რომელშიც თქვენ გითამაშიათ.**

- ეჭვგარეშე ასეა. თქვენ დაინტერესდით - შეგვიძლია თუ არა ჩემპიონობის მოპოვება? ვნახოთ, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. მაგრამ ქაღალდზე ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს. დღეს ეს არის ჩემი გუნდი. მაგრამ მინდა დუაიტ ჰოვარდმა იცოდეს: როცა კარიერას დავასრულებ, ეს მისი გუნდი იქნება. მინდა მას ვასწავლო ყველაფერი ის, რაც მე ვიცი, რათა ჩემი ნასვლა გუნდს არ დაეტყოს.

**- ასე რომ, "სუპერმენმა" უკვე აქედან უნდა დაიწყოს მზადება?**

- დიახ, უკვე არის ამის დრო.

**- როგორ უყურებთ NBA-ის ხელმძღვანელობის მიერ გაჩაღებულ ბრძოლას სიმულანტების წინააღმდეგ?**

- მინდა, რომ ამან შედეგი მოიტანოს. ჩემი აზრით, ამ მხრივ FIBA-ის სისტემა კარგად მუშაობს. სიმულაციის გამოვლენის მეორე ფაქტზე, მეტოქე გუნდი ორი ჯარიმისა და პრემიალური შეტევის უფლებას იღებს, როგორც ეს ტექნიკური პერსონალურის დროს ხდება. სამწუხაროდ, NBA-ში მსგავსი გამოვლინებები ხშირია. მე მგონი, ამის წამომწყები დივაცი იყო, რომელიც პლეი ოფში წარმატებით სიმულირებდა შაკის წინააღმდეგ. მას ეს კარგად გამოსდიოდა.

**- გაგვიზიარეთ ოლიმპიადაზე გამოსვლის გამოცდილება. მორიგი ოქრო მოიპოვეთ და თქვით, რომ ეს თქვენი ბოლო თამაშები იყო...**

- ეს სასარგებლო გამოცდილება იყო. ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტ ტურნირს დავსწრებოდი.

**- თან ბავშვებიც თან დაგყავდათ...**

- დიახ. მახსოვს ერთი კარგი დღე, როცა ვნახე მატჩები ფედერერისა და სერენა უილიამსის მონაწილეობით. საინტერესოა, რომ სწორედ მაშინ ჩაატარა როჯერმა ოლიმპიადის ისტორიაში ყველაზე გრძელი მატჩი. ვიჯექი და მესმოდა, რომ მთლიანად დავანგრიე საკუთარი დღის განრიგი. რა თქმა უნდა, ბავშვებიც წუწუნებდნენ. მზეზე ამდენი ხანი ჯდომა ძალიან რთულია. ამის შემდეგ ველოდრომზე გავეშურეთ.

**- თქვენს გარდა, ლონდონის თამაშებში მონაწილე სპორტსმენებიდან კიდევ ვის შეგვიძლია ვუწოდოთ დიადი?**

- ფელპსი არის ფელპსი – ის ფენომენალურია. რა თქმა უნდა, უსაინ ბოლტიც. ჩვენ ცოცხლად ვნახეთ მისი გარბენები.

**- შეხვდით მას?**

- სტადიონის ბილეთი არ გვქონდა. ამიტომაც, შესასვლელთან ვიდექი, სანამ რომელიღაც ჟურნალისტმა პრესისთვის განკუთვნილ ადგილზე არ მიგვიყვანა. მას შემდეგ, რაც იამაიკელმა საკვალიფიკაციო გარბენი დაასრულა, ჩემს გვერდით გაიარა და მკითხა: "როგორ არის საქმე?"

**- ცნობილია, რომ ძალიან გიყვართ ევროპული ფეხბურთი.**

- ახლა კიდევ ერთი გატაცება მაქვს - ჩოგბურთი.

**- თამაში მოგწონთ თუ ყურება?**

- თამაში. ყურება ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ხელში ჩოგანი დავიჭირე და... ძალიან დამოკიდებული გავხდი.

**- გრძნობთ თავს ფედერერად?**

- ჯერ არა. შეიძლება ერთი წლის შემდეგ დავემგვანო მას.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ყველა ეტაპი ომია

## კორეის გრანპრიზე ყველაფერი თავიდან იწყება

მსოფლიოს 63-ე ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ეტაპია დარჩენილი. თითოეული რბოლა, როგორც გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი **ფერნანდო ალონსო** ამბობს, ცალკე ჩემპიონატად შეიძლება განვიხილოთ. და თითოეული ბევრად განსაზღვრავს მთავარი ტიტულისთვის ბრძოლის ბედს. ამიტომაც, ყოველი დარჩენილი ეტაპის ფასი უკიდურესად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ ალონსოს მთავარმა კონკურენტმა - **სებასტიან ფეტელმა** ზედიზედ მოიგო ბოლო ორი რბოლა და ესპანელთან ჩამორჩენა ოთხ ქულამდე დაიყვანა, ესპანელი მაინც თავდაჯერებულია. სხვანაირად არც იქნებოდა, რადგან ფერნანდოს სხვებისგან განასხვავებს ყველაზე სტრესულ სიტუაციაში აბსოლუტური სიმშვიდის შენარჩუნება.

*„დიახ, „რედ ბული“ (და არა მარტო ის) უსწრებს „ფერარის“ იმაში, რასაც ჰქვია ტექნიკის დახვეწა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლო ეტაპის ბოლო მეტრებამდე ვიბრძოლებ უმაღლესი*

### ფეტელი მომენტის გაშვებას არ აპირებს

ასევე საბრძოლოდ არის განწყობილი ალონსოს მთავარი ოპონენტი "რედ ბულიდან" – სებასტიან ფეტელი, რომელიც ბოლო ორი ეტაპის შემდეგ ისევ დაბრუნდა საჩემპიონო რბოლაში და ფაქტობრივად, ფერნანდოს ერთადერთ და ყველაზე სახიფათო კონკურენტად იქცა.

ფეტელს აქვს შანსი გაიმეოროს **ხუან მანუელ ფანხიოსა** და **მიხაელ შუმახერის** ისტორიული შედეგი - ზედიზედ სამჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული. ამიტომაც, გერმანელი დიდი ამბიციებით არის ჩასული კორეაში.

*"ვერ ვხედავთ მიზეზს, თუ რატომ ვერ უნდა გავაგრძელოთ სინგაპურში დაწყებული საქმე, - განაცხადა ფეტელმა. - ორი ძლიერი ბრძოლა ჩავატარეთ, აქ კარგ ხასიათზე ჩამოვედით, ასე რომ, შევეცდებით ხელიდან არ გავუშვათ მომენტი და მოგებათა სერია სამამდე ავიყვანოთ. ეს ტრასა ერგება "რედ ბულის" მანქანებს, აქ ჩვენ წარმატებისთვის მივვილწევია, ასე რომ, პესიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ. თუმცა მიმდინარე*



ვინ გახდება ჩემპიონი?

*ტიტულისთვის, - განაცხადა კორეაში ჩასვლის შემდეგ ალონსომ. - მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი ბაზებიდან ძალიან შორს არიან, „მაკლარენი“, „რედ ბული“, „მერსედესი“, და „ლოტუსი“ ახერხებენ მანქანის დახვეწას, „ფერარი“ კი ფაქტობრივად იმით მივა ფინიშთან, რითაც ევროპა დატოვა. მაგრამ მოდით ნუ დავივიწყებთ: თუ მე ჯერ ისევ ლიდერი ვარ, ძირითადად იმის ხარჯზე, რომ ჩვენ, ყველაფრის მიუხედავად, შევძელით მანქანის გაუმჯობესება წლის დასაწყისთან შედარებით და შეგვიძლია ბოლიდისგან მაქსიმუმის მიღება. ამ სეზონში ჩვენთვის საჩუქარი არავის გაუკეთებია, პირიქით - გაიხსენეთ სპა და სუზუკა... მაგრამ ფაქტია, რომ მე ისევ ლიდერი ვარ, რაც არა ჯადოქრობის, არამედ უდიდესი და უმძიმესი მუშაობის შედეგია. თანაც, მთელი გუნდის. ასეა მოწყობილი დღევანდელი ფორმულა 1 - ვიგებთ და ვაგებთ ერთად. სწორედ ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ კონკურენტთა პროგრესის მიუხედავად, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

*სეზონში წინასწარ რამის თქმა არ შეიძლება, ვერავინ გაექცა ჩავარდნის მომენტს, პელოტონში რამდენიმე მანქანაა, რომელსაც გამარჯვება შეუძლია. ასე რომ, მომავალ რბოლაში მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვიყოთ".*

■ ■ ■

გუშინ, კორეის გრანპრი ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო. პირველი ვარჯიშის დასაწყისში ლიდერობა ძალიან სწრაფად მოიპოვა ფერნანდო ალონსომ - მისი დრო სხვებზე წამით მეტი იყო, მაგრამ თანდათან, სხვა პილოტები მიუახლოვდნენ სეზონის ლიდერს, შემდეგ კი **ლუის ჰემილტონმა** წინ გასვლა შეძლო. უფრო მეტიც, ბოლოსკენ, ბრიტანელმა უფრო მოუმატა და საბოლოოდ, ალონსოს 0.3 წამი მოუგო. ლუისის დრო იყო - 1:39.148. რაც შეეხება მეორე სესიას, აქ „რედ ბულის“ პილოტები დომინირებდნენ - მხოლოდ სებასტიან ფეტელმა და **მარკ უებერმა** შეძლეს 1:39-დან გამოსვლა. სებამ 1:38.832 აჩვენა და თანაგუნდელს სულ ცოტა მოუგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### მუნდიალი 2014

#### ევროპა

| | |
|---|---|
| მაკედონია-ხორვატია | 1:2 |
| სერბეთი-ბელგია | 0:3 |
| უელსი-შოტლანდია | 2:1 |
| ჩეხეთი-მალტა | 3:1 |
| სომხეთი-იტალია | 1:3 |
| ბულგარეთი-დანია | 1:1 |
| ფარერები-შვედეთი | 1:2 |
| ყაზახეთი-ავსტრია | 0:0 |
| ირლანდია-გერმანია | 1:6 |
| თურქეთი-რუმინეთი | 0:1 |
| ესტონეთი-უნგრეთი | 0:1 |
| ჰოლანდია-ანდორა | 3:0 |
| ალბანეთი-ისლანდია | 1:2 |
| შვეიცარია-ნორვეგია | 1:1 |
| სლოვენია-კვიპროსი | 2:1 |
| რუსეთი-პორტუგალია | 1:0 |
| ლუქსემბურგი-ისრაელი | 0:6 |
| ლიხტენშტაინი-ლიტვა | 0:2 |
| სლოვაკეთი-ლატვია | 2:1 |
| საბერძნეთი-ბოსნია | 0:0 |
| მოლდოვა-უკრაინა | 0:0 |
| ინგლისი-სან მარინო | 5:0 |
| ბელარუსი-ესპანეთი | 0:4 |

#### ს. ამერიკა

| | |
|---|---|
| ბოლივია-პერუ | 1:1 |
| კოლუმბია-პარაგვაი | 2:0 |
| ეკვადორი-ჩილე | 3:1 |

#### ოკეანეთი

| | |
|---|---|
| სოლომონის კ-ები-ახ. კალედონია | 2:6 |

### ევრო 2013
#### UNDER 21

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-რუსეთი | 0:2 |
| გერმანია-შვეიცარია | 1:1 |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 1:0 |
| ინგლისი-სერბეთი | 1:0 |
| იტალია-შვედეთი | 1:0 |

### ევრო 2013
#### UNDER 19

| | |
|---|---|
| უელსი-სლოვენია | 2:1 |
| შვედეთი-რუსეთი | 1:3 |
| ჩეხეთი-მოლდოვა | 2:0 |
| ჩრ. ირლანდია-საბერძნეთი | 0:2 |
| ბელგია-ბელარუსი | 1:0 |
| იტალია-ალბანეთი | 3:0 |

### ევრო 2013
#### UNDER 17

| | |
|---|---|
| კვიპროსი-შვეიცარია | 1:5 |
| ავსტრია-ფარერები | 6:0 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ლესოტო-სვაზილენდი | 2:1 |
| ეგვიპტე-კონგო | 3:0 |
| საემიროები-უზბეკეთი | 2:2 |
| ბაჰრეინი-ფილიპინები | 0:0 |
| პოლონეთი-ს. აფრიკა | 1:0 |
| საფრანგეთი-იაპონია | 0:1 |

### გერმანია

#### რეგიონალლიგა (სამ-დას)

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-პფიულენდ. | 2:1 |
| ზონენჰოფი-ულმი | 1:0 |

#### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

| | |
|---|---|
| ჰაიმშტეტენი-როზენჰაიმი | 1:4 |
| ზელიგენპორტენი-ბამბერგი | 3:2 |
| ელტერსდორფი-მემინგენი | 1:2 |

#### რეგიონალლიგა (ჩრ)

| | |
|---|---|
| ვიქტორია-ვილჰელმშავენი | გადაიდო |

#### რეგიონალლიგა (დას)

| | |
|---|---|
| ფერლი-ზიგენი | 3:3 |

### დანია
#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვიბორგი-აკადემისკი | 0:0 |

### ავსტრალია

| | |
|---|---|
| ადელაიდა-ვესტერნ სიდნეი | 1:0 |

## კალათბურთი

### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ბამბერგი | 72:60 |
| ბეშიქთაში-პარტიზანი | 81:65 |
| მილანი-ეფესი | 80:75 |
| მონტეპასკი-ალბა | 82:92 |
| რეალი-პანათინაიკოსი | 85:78 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ორლეანი-შოლე | 78:84 |
| ვილერბანი-ბულაზაკი | 80:73 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ტორპედო-იუგრა | 6:2 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ვენა-ზალცბურგი | 5:2 |
| გრაცი-ლინცი | 3:4 (ბ) |
| დორნბირნი-კლაგენფიურტი | 5:6 (ბ) |
| ინსბრუკი-ვილახი | 1:5 |
| ზაგრები-ზნოიმო | 2:1 |
| ოლიმპია-ალბა | 4: |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-კიოლნი | 5:6 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 3:6 |
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 2:1 |
| იზერლონი-ჰამბურგი | 1:2 |
| მანჰაიმი-კრეფელდი | 1:5 |
| ნიურნბერგი-მიუნხენი | 1:3 |

### დანია

| | |
|---|---|
| ფრედრიკშავნი-ჰვიდოვრე | 7:2 |
| ოდენსე-სონდერიისკი | 2:1 |
| ოლბორგი-ესბერგი | 3:2 (ო) |
| ჰერნინგი-როდოვრე | 2:3 (ბ) |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ჟილინა | 4:3 |
| პოპრადი-სკალიცა | 3:2 (ო) |
| ტრენჩინი-ნიტრა | 4:3 (ბ) |
| კოშიცე-ზვოლენი | გადაიდო |
| პიესტანი-მარტინი | 2:3 (ბ) |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ბლუზი-ჰამეენლინა | 6:3 |
| ილვესი-იუვასკიულა | 0:3 |
| იოკერიტი-პელიკანსი | 4:3 (ბ) |
| კალპა-საიპა | 2:1 (ბ) |
| პერაპეტი-ჰიფკ | 4:1 |
| ტპს-ლუკო | 4:2 |
| ესეტი-ტაპარა | 4:2 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სპარტა | 3:2 |
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 0:4 |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 1:4 |
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 1:3 |
| სლავია-ხომუტოვი | 4:0 |
| პარდუბიცე-ბრნო | 5:3 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბილი-ფრიბურგი | 2:2 (ო) |
| დავოსი-ბერნი | 3:6 |
| ლუგანო-ცუგი | 7:4 |
| რაპერსვილი-ამბრი | 5:3 |
| სერვეტი-ციურიხი | 4:2 |

## ჩოგბურთი

### ATP. შანხაი

| | |
|---|---|
| ცონგა-**ბერდიხი** | 3:6, 6:7 |
| მიურეი-შტეპანეკი | 4:6, 6:2, 6:3 |
| **ჯოკოვიჩი**-ჰაასი | 6:3, 6:3 |
| ფედერერი-ჩილიჩი | 6:3, 6:4 |

### WTA. ლინცი

| | |
|---|---|
| **გორგესი**-არვიდსონი | 6:1, 6:4 |
| **აზარენკა**-მარტიჩი | 6:2, 6:2 |
| **ფლიპკენსი**-ივანოვიჩი | 6:4, 6:0 |
| **ბეგუ**-მატეკი | 6:4, 1:6, 6:2 |

### WTA. ოსაკა

| | |
|---|---|
| **უოტსონი**-პარმენტიე | 7:5, 6:3 |
| სხეპერსი-**დოი** | 6:2, 1:6, 3:6 |
| **ჩანგი**-რობსონი | 6:4, 3:6, 7:6 |
| **სტოსური**-ჰემპტონი | 6:2, 6:4 |

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 22 | (მზე) |
| ქუთაისი | 14 | 25 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 23 | (მზე) |
| ფოთი | 14 | 24 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 24 | (მზე) |
| გორი | 10 | 23 | (მზე) |
| თელავი | 13 | 24 | (მზე) |
| სიღნაღი | 14 | 23 | (მზე) |
| ბაკურიანი | 4 | 15 | (მზე) |
| ბორჯომი | 9 | 22 | (მზე) |
| მესტია | 4 | 15 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1467 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6626 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6655 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3345 |

## TV პროგრამა

### 13 ოქტომბერი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ურუგვაი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. ბელგრანო-ბოკა ხუნიორსი.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIX ტური. პალმეირასი-კურიტიბა.
**19:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**21:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-ანდორა
**23:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ურუგვაი.
**01:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXX ტური. ფლამენგო-კრუზეირო (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ბოსტონი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. I ტურის მიმოხილვა.
**16:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**17:00** ძიუდო. გრან პრი. აბუ დაბი (LIVE).
**19:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ავსტრალია.
**21:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. I ტური. ფენერბახჩე-ხიმკი.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ბოსტონი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**15:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპარტა-ბილბაო.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
**22:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-არგენტინა.

### 14 ოქტომბერი. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXX ტური. ფლამენგო-კრუზეირო.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**12:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-ანდორა.
**16:00** ევროპის ლიგა. II ტურის მიმოხილვა.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** ჩემპიონთა ლიგა. II ტურის მიმოხილვა.
**19:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**20:00** ჩემპიონთა ლიგა. II ტურის მიმოხილვა.
**21:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXX ტური. სანტოსი-ვასკო და გამა (LIVE).
**01:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-კურიტიბა.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-მაიამი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. I ტური. მონტეპასკი-ალბა.
**17:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. ს. აფრიკა-ახ. ზელანდია.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგის მიმოხილვა.
**23:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-მაიამი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**15:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. ახ. ზელანდია-ს. აფრიკა.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
**19:10** რაგბი. ოთხი ერის თასი. ს. აფრიკა-ავსტრალია.
**21:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
**00:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

#### I არხი

**18:10** მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. იბერია სტარი (საქართველო)-ბენფიკა (პორტუგალია) (LIVE).

# ოთხი საუკეთესო ნახევარფინალში

სეზონში ბოლოსწინა მასტერსი, რომელსაც შანხაი მასპინძლობს, დასასრულს მიუახლოვდა. გუშინ, ნახევარფინალურ ეტაპზე მოხვდა პირველ ოთხ ნომრად განთესილი ჩოგბურთელი, **როჯერ ფედერერმა** კი ამ მასტერსის დასრულებამდე შეინარჩუნა ლიდერობა რეიტინგში.

მეოთხედფინალში ყველაზე ახლოს სენსაციასთან **რადეკ შტეპანეკი** იყო, რომელიც **ენდი მიურეის** ხვდებოდა. ჩეხმა ბრწყინვალე პირველი სეტი ჩაატარა, რასაც ვერ ვიტყვით ბრიტანელ ჩოგბურთელზე, რომელმაც ბევრი შეცდომა დაუშვა და მხოლოდ სამი „ვინერსი" ჰქონდა. საწყისი სეტი ენდიმ 4:6 წააგო, მაგრამ მეორედან მოყოლებული თანდათან მოუმატა. მან 3:2-ზე გააკეთა ბრეიკი, შემდეგ კი ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. საბოლოოდ, მიურეიმ დამაჯერებლად მიიყვანა მეორე სეტი მოგებამდე - 6:2.

მესამე სეტის სტარტზე შტეპანეკმა აჩვენა, რომ არ აპირებდა დანებებას - მან 1:1-ზე ბრეიკი შეასრულა. თუმცა ჩეხმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. მომდევნო გეიმში მან საკუთარი შეცდომით მეტოქეს ბრეიკ-პოინტი მისცა და ენდიმ ეს შანსი კარგად გამოიყენა - 2:2. ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში შტეპანეკს ძალები არ ეყო და ბოლო გეიმებში ძალიან ცოტა ქულა აიღო.


როჯერ ფედერერი

გერმანელმა ვეტერანმა **ტომი ჰაასმა** ვერ შეძლო ზედიზედ მეორე სერბის დამარცხება. მეოთხედფინალში ის **იანკო ტიპსარევიჩს** გაუსწორდა, მაგრამ **ნოვაკ ჯოკოვიჩის** წინააღმდეგ შანსი არ ჰქონია. არადა, ორივე სეტს ტომი კარგად იწყებდა. პირველში ის დამაჯერებლად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას, მაგრამ მეექვსე გეიმში მოდუნდა, როცა 40:15-დან გააკეთებინა ბრეიკი მეტოქეს.

მეორე სეტი ჰაასმა ბრეიკით დაიწყო, მაგრამ ეს უპირატესობა დიდი ხანი ვერ შეინარჩუნა - იქვე ჯოკოვიჩმა „მშრალი" ანგარიშით მოიგო მეტოქის მოწოდება, მალე კი გერმანელი მდევრის როლში აღმოჩნდა. ტომიმ მხოლოდ მაშინ შეძლო დევნის განხორციელება, როცა ნოვაკი 5:2 იყო დაწინაურებული. როგორც ჩანს, ჯოკოვიჩი ზედმეტად მოდუნდა ზედიზედ ხუთი გეიმის აღების შემდეგ. ჰაასმა ბრეიკი გააკეთა, მაგრამ სერბი მალე მოვიდა გონს და ჰაასის მოწოდებაზე გადაწყვიტა ყველა პრობლემა - 6:3.

მეოთხედფინალში **სტანისლას ვავრინკასთან** უმძიმესი მატჩის შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა როჯერ ფედერერმა დამაჯერებლად ითამაშა ნახევარფინალში **მარინ ჩილიჩთან**. მართალია, შვეიცარიელს უნებლიე შეცდომების რიცხვი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე „ვინერსები", მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ორ სეტის მოგებაში - 6:3, 6:4. მეორე სეტის ბოლოს ხორვატი ბოლომდე იბრძოდა და ბრეიკიც გააკეთა, მაგრამ იქვე წააგო საკუთარი მოწოდება.

**ტომაშ ბერდიხი** სეზონში მესამედ გავიდა „მასტერსის" სერიის ნახევარფინალში. ჩეხმა ორი პარტია იკმარა მეხუთე ნომრად განთესილი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** დასამარცხებლად - 6:3, 7:6. ფრანგმა უკვე პირველ სეტში მიმართა ექიმის დახმარებას, რადგან ზურგის არეში ტკივილს უჩიოდა. მიუხედავად ამისა, ის დიდად არ ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ ბერდიხისგან განსხვავებით, თავისი შანსები ვერ გამოიყენა, არადა, მეორე სეტში ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. ასე რომ, ნახევარფინალში პირველ ოთხ ნომრად განთესილი ჩოგბურთელები იქნებიან წარმოდგენილი.

დღეს, პირველ ნახევარფინალში 12 საათსა და 30 წუთზე ერთმანეთს შეხვდებიან ბერდიხი და ჯოკოვიჩი, 16 საათზე კი კორტზე ფედერერი და მიურეი გავლენ.

### 1/4 ფინალი

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 5) 6:3, 7:6(4); **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 4:6, 6:2, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:3, 6:3; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 10) 6:3, 6:4.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორტუნა Fortuna
აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენ ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!
გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge



შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!
დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!
fortunacard.ge fortuna.emoney.ge 255 55 00

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**